ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ტრანსგენდერს ორთაჭალაში ყელი გამოსჭრეს

გვ.7

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს



ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 2016 №246 (7172) ფასი: 50 თეთრი

# „2 თვეში „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ცხვირში მოხვდება“



## ლევან ხაბეიშვილი: „მიმდინარეობს ნაცმოძრაობის ქდმზაცია“

გვ.3

### „მოქმედმა და ყოფილმა ხელისუფლებებმა პოლიტიკური ველი მოასუფთავეს“

„პოლიტიკური ველი უკვე მოასუფთავა ამ ორმა პარტიამ. იქ შესვლა მხოლოდ გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება. დღეს მიმდინარეობს ყოფილი ხელისუფლების სრული ქრისტიან-დემოკრატიზაცია. მკითხველს შევახსენებ, რომ 2008-2012 წლებში ქრისტიან-დემოკრატების პარტია იყო ნაციონალების სატელიტი. ეს პარტია იყო შირმა ოპოზიცია. ეს შეფასება ყველა იმ ადამიანს არ ეკუთვნის, რომლებიც ამ პარტიის წევრები იყვნენ, მაგრამ ლიდერიშიფი ნამდვილად ნაციონალებს „აპრავებდა“.

## ვახტანგ ძაბირაძე: „საარჩევნო სისტემის შეცვლა არავის აწყობს“

„ჩვენნაირი ქვეყნისთვის ყველაზე მისაღები იქნება, პარლამენტში 150-ვე ადგილი მაჟორიტარული სისტემით დაკომპლექტდეს, ოღონდ ხმის მიცემის სისტემა უნდა შეიცვალოს. ამომრჩეველი უნდა იყოს ვალდებული, რომ 3 კანდიდატს მისცეს ხმა ანუ პირველი, მეორე და მესამე არჩევანი უნდა გააკეთოს“



გვ.2

## ფეოდალური პოლიტიკური პლურალიზმი

გვ.4




„ქართული ოცნების“ დაღმასვლა გარდაუვალია, ამბობს ექსპერტი სარჯველაძე



გვ.5

## თენგიზ დიხამინჯია: „მესამე ძალა ვერ ჩამოყალიბდა“

გვ.4



## სააკაშვილი: „სირცხვილია, რომ საქართველოს დელეგაციამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ მისცა ხმა“

## საჭიროა თუ არა საქართველოში მინიმალური ხელფასის გაზრდა

გვ.6

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ვახტანგ ძაბირაძე: „საარჩევნო სისტემის შეცვლა არავის აწყობს“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო სისტემაზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა გაცხადებული, რომ 2020 წლისთვის საარჩევნო სისტემას შეცვლიდა, თუმცა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მას ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ აქვს. შეიძლება, რომ ეს სისტემა არ შეიცვალოს?***

– სავსებით შეიძლება, რომ არ შეიცვალოს. „ქართული ოცნება“ 2016 წლის არჩევნებისთვის წინააღმდეგი იყო, რომ მოქმედი საარჩევნო სისტემა შეეცვალა. ვნახეთ, თუ რატომაც იყო წინააღმდეგი. ეს სრულიად გასაგებია. ახლა რატომ შეცვლის? სად არის აქ ლოგიკა.

***– „ქართულ ოცნებას“ აქვს ნათქვამი, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის შეცვლის. ეს არაფერს ნიშნავს?***

– ჩვენ ვართ მზად, ამ ცვლილებას მხარი დავუჭიროთ 2020 წლისთვისო, მაგრამ ახლა იტყვის, რომ მზად არის, 2024 წლისთვის დაუჭიროს. ქართულ პოლიტიკაში ასეთი დათქმები არ მუშაობს. ოპოზიციას დავით უსუფაშვილი ეხვეწებოდა, ეს კანონპროექტი 2020 წლისთვის მაინც მივიღოთო, მაგრამ მაშინ ოპოზიციამ უარი თქვა, არა, ახლავე უნდა შევცვალოთო. არადა, ცხადზე ცხადი იყო, რომ მოქმედ სისტემას ხელისუფლება არ შეცვლიდა, რადგან ეს სისტემა ყველაზე მეტად აწყობს ხელისუფლებას, ვინც არ უნდა იყოს ის.

მაშინ ოპოზიციამ ფუჭად დაკარგა დრო და ვერც ვერაფერს მიაღწია. უკეთესი იყო, კანონპროექტისთვის მხარი დაეჭირათ და 2020 წლისთვის მაინც შეიცვლებოდა. ახლა ეს საკითხი კვლავ ღიად რჩება. დიდი ალბათობით, ასევე ღიად დარჩება 2020 წლისთვისაც. მოქმედი სისტემა კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ მისი შეცვლა არავის აწყობს.



***– ბატონო ვახტანგ, თქვენი პოზიცია როგორია, როგორი საარჩევნო სისტემა უნდა იყოს ჩვენნაირი მოწყობის ქვეყნისთვის, სადაც მხოლოდ ერთპალატიანი პარლამენტია?***

– მე დიდი მომხრე არ ვარ პროპორციული სისტემის, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ უფრო სამართლიანი სისტემაა, ვიდრე მოქმედი შერეული სისტემა. ამ საარჩევნო სისტემით არჩევნებზე მისული ამომრჩევლის ნახევარიც კი არ უჭერს ხელისუფლებას მხარს, მაგრამ მას ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა.

***– თქვენ რომელ სისტემას უჭერთ მხარს?***

– ჩვენნაირი ქვეყნისთვის ყველაზე მისაღები იქნება, პარლამენტში 150-ვე ადგილი მაჟორიტარული სისტემით დაკომპლექტდეს, ოღონდ ხმის მიცემის სისტემა უნდა შეიცვალოს. ამომრჩეველი უნდა იყოს ვალდებული, რომ 3 კანდიდატს მისცეს ხმა ანუ პირველი, მეორე და მესამე არჩევანი უნდა გააკეთოს, ყველაზე მისაღებს დაუწეროს 10 ქულა, შემდეგ არჩევანს 9 ქულა და მესამეს – 8 ქულა. ჯამში, რომელსაც ექნება ყველაზე მეტი ქულა, ის იქნება გამარჯვებულიც.

ეს სისტემა მოხსნის დაპირისპირებას, პარტიულ ავტორიტარიზმს, ასევე ლიდერომანიას, ბევრ რამეს დაარეგულირებს, თუმცა, არა მგონია, ვინმე იყოს ამ სისტემის მხარდამჭერი პოლიტიკურ სპექტრში.

***– რატომ?***

– არავის აწყობს. 2002 წლიდან ვსაუბრობ ამ სისტემაზე, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მისაღებია. თუ მაინც შერეულ სისტემაზეა საუბარი, მაშინ არსებულ მოდელს ყველა სჯობია, მაგალითად ე.წ. გერმანული მოდელი ან პროპორციული სისტემა.

სისტემა, რომელიც მოქმედებს და რომლითაც ჩატარდა თუნდაც 8 ოქტომბრის არჩევნები, არის იმ დროისთვის არსებული ხელისუფლების სასარგებლო სისტემა. ხელისუფლებას აქვს აბსოლუტური ბერკეტი ამ სისტემით, თუ სიტუაცია, რასაკვირველია, რევოლუციამდე არ მივიდა. რევოლუციურ სიტუაციაში კი მუშაობს იმ ძალის სასარგებლოდ, რომელიც რევოლუციურად არის განწყობილი. თუმცა, აქ კიდევ სხვა ბევრი ფაქტორი მოდის წინა პლანზე.

***– თქვენ მაჟორიტარულ სისტემაზე საუბრობდით. რა მინუსი შეიძლება მას ჰქონდეს?***

– ამ საარჩევნო სისტემის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას ის, რომ ადამიანის უფლებების იდეალურ პირობასთან შესაბამისობაში მთლად ვერ მოდის.

***– რატომ?***

– გარკვეულწილად, ამომრჩეველს ვზღუდავთ არჩევანში, ვეუბნებით, არა ერთი, არამედ რამდენიმე არჩევანი გააკეთოს. არადა, მას სურს, მხოლოდ ერთი აირჩიოს.

***– თუმცა, მოქმედი კანონმდებლობითაც ხომ იზღუდება ამომრჩეველი, როდესაც ის არჩევანს აკეთებს არა გამარჯვებული ძალების, არამედ დამარცხებული პარტიების სასარგებლოდ და მისი ხმა ემატება სწორედ გამარჯვებულებს.***

– დიახ, სწორედ ასეა, მაგრამ ასეთია მოქმედი კანონმდებლობა, ამიტომ ვამბობ, რომ უსამართლო სისტემაა.

***– თუ „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, წავა ხელების გადაგრეხის გზით თუ ანგარიშს გაუწევს საზოგადოებრივ აზრს? უკვე საუბრობენ რამდენიმე საკონსტიტუციო ცვლილებაზე.***

– ქართული პოლიტიკა სულ სხვა მაგალითებს გვაძლევს და ხიფათიც სწორედ ეს არის. ჩვენი პოლიტიკის ტრადიციიდან გამომდინარე, სწორედ ავტორიტარიზმის გზით წავა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს და არა – დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გზით.

არსებული საარჩევნო სისტემიდანაც ჩანს ხელისუფლების დამოკიდებულება. თუ ხელისუფლებას უნდოდა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარება, მაშინ ის შეცვლიდა ამ კანონს. ამიტომ „ქართული ოცნების“ ლიდერების საუბარი იმაზე, რომ არ გადაუხვევენ დემოკრატიის გზიდან საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში, კითხვის ნიშნებს აჩენს. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და მათი სიტყვები ლიტონად ნათქვამი არ გამოდგეს.

***– ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე თქვა, რომ რეფორმების განსახორციელებლად საკონსტიტუციო უმრავლესობაა საჭირო. რას იტყვით?***

– ამ 4 წლის განმავლობაში „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰქონია, მაგრამ უმრავლესობამ დაასახელოს ერთი რეფორმა მაინც, რომლის განხორციელებაც სურდა და ვერ განახორციელა იმიტომ, რომ მას არ ჰყავდა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა. თუ ასეთი მაგალითი არ არის, გაუგებარია, მომავალი 4 წლის განმავლობაში რატომ გაჩნდება ეს აუცილებლობა.

# მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართება

შორენა მარსაგიშვილი

**2 კვირაში საქართველოს მორიგი საარჩევნო ციებცხელება გადაუვლის. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, 30 ოქტომბერს 50 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტური გაიმართება.**

8 ოქტომბერს ამომრჩეველმა მაჟორიტარის არჩევა მხოლოდ 23 ოლქში მოახერხა.

მეორე ტურამდე რამდენიმე საარჩევნო ოლქში განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდება. ეს 22 ოქტომბერს მოხდება.

რამდენიმე მაჟორიტარული ოლქის გარდა, მეორე ტურში ერთმანეთს „ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატები დაუპირისპირდებიან.

მთაწმინდაზე დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ ნიკა რურუას დაუპირისპირდება. პირველ ტურში რურუამ ხმების 26,92% დააგროვა, მისმა კონკურენტმა კი – 44.42%.

ვაკის მე-2 ოლქში „ქართულოცნებელ“ ბიძინა გეგიძეს მეტოქედ ნაციონალი ელენე ხოშტარია ეყოლება. პირველ ტურში გეგიძემ 48,95% აიღო, მისმა კონკურენტმა კი – 22,25%.

საბურთალოს მე-6 ოლქში მეოცნებე ლევან გოგიჩაიშვილს, რომელმაც პირველ ტურში 46,89% აიღო, ნაციონალი სევდია უგრეხელიძე დაუპირისპირდება. მას მხარი 17,2%-მა დაუჭირა.

კრწანისში დეპუტატის მანდატისთვის „მეოცნებე“ ბექა ოდიშარია და ნაციონალი ირაკლი აბესაძე იბრძოლებენ. პირველ ტურში ოდიშარიას 48,23%-მა მისცა ხმა, აბესაძეს კი – 28,92%-მა.

ისნის მე-8 ოლქში მეორე ტური „მეოცნებე“ მორაგბე ირაკლი აბუსერიძესა და ნაციონალ ადვოკატ გოგა ონიანს შორის გაიმართება. პირველ ტურში მორაგბეს 42,74%-მა დაუჭირა მხარი, ადვოკატს კი – 24,12%-მა.

ისნის მე-9 ოლქში „ქართული ოცნების“ ფალავანი 48,13%-იანი დავით ჭიჭინაძე იქნება. მას კონკურენციას ნაციონალური მოძრაობიდან ბესიკ კვიციანი გაუწევს, რომელსაც 27,37%-იანი მხარდაჭერა აქვს.

ისნის მე-10 ოლქში დეპუტატობისთვის „მეოცნებე“ ბექა ნაცვლიშვილი და ნაციონალი ზაზა კედელაშვილი იბრძოლებენ. პირველ ტურში „მეოცნებეს“ 45,07%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა, ნაციონალს კი 26,61%-მა დაუჭირა მხარი. აღსანიშნავია, რომ კედელაშვილი უკვე მოხვდა პარლამენტში, ოღონდ – პარტიული სიით.

სამგორის მე-11 ოლქში „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მოსიძე იქნება. მას კონკურენციას ნაციონალი ირაკლი ნადირაძე გაუწევს. ამ უკანასკნელმა 24.11% აიღო პირველ ტურში, მისი კონკურენტი კი 47,45%-ზე ავიდა.

სამგორის მე-12 ოლქში მეორე ტურში „ქართული ოცნებიდან“ მარიამ ჯაში გავიდა 42,58%-ით, მის კონკურენტ ნაციონალ დავით ჟღენტს 27,79%-იანი მხარდაჭერა ერგო.

სამგორის მე-13 ოლქში „ქართული ოცნებიდან“ შოთა ხაბარელი და ნაციონალი გიორგი ხახნელიძე იბრძოლებენ. ხაბარელს 45,28%-იანი მხარდაჭერა ჰქონდა, მის კონკურენტს 25,52%-მა მისცა ხმა.

დიდუბის მე-15 ოლქში მეორე ტურში „ქართული ოცნებიდან“ ზაზა პაპუაშვილი და ნაციონალებიდან დავით ნაფეტვარიძე გავიდნენ. პირველ ადგილზე გასულს 46,95% ერგო, მეორე ადგილზე გასულს კი – 19,81%.

დიდუბის მე-16 ოლქში „ქართული ოცნებიდან“ ივლიანე წულაია იქნება. მას პირველ ტურში 47,03%-მა დაუჭირა მხარი. მისი კონკურენტი ნაციონალი ირაკლი დვალია. მას 20,82%-იანი მხარდაჭერა აქვს,

ნაძალადევის მე-17 ოლქში „ქართულ ოცნებას“ სოფიო კილაძე წარმოადგენს. მას 44,83%-იანი მხარდაჭერა აქვს. მისი კონკურენტი ნაციონალი მურმან თხელიძე იქნება.

ნაძალადევის მე-18 ოლქში „ქართული ოცნება“ მიხეილ ყაველაშვილით იქნება წარმოდგენილი, ნაცმოძრაობის ფალავანი კი მამუკა გუგეშაშვილია. პირველ ტურში ყაველაშვილმა ხმების 47,13% მიიღო, მისმა კონკურენტმა კი – 25,39%.

ნაძალადევის მე-19 ოლქში „ქართული ოცნებიდან“ ზაზა გაბუნიაა 45,98%-ით. მისი კონკურენტი ნაციონალური მოძრაობიდან ლერი დემეტრაშვილი იქნება. მან პირველ ტურში ხმების 26,21% აიღო.

გლდანის მე-20 ოლქში მეორე ტურში მეოცნებე კობა კობალაძე და ნაციონალი ალექსანდრე ჩაფიჩაძე იბრძოლებენ. პირველ ტურში კობალაძემ 40,31% აიღო, მისმა კონკურენტმა – 24,56%.

გლდანის 21-ე ოლქში „ქართული ოცნება“ ლევან კობიაშვილით იქნება წარმოდგენილი, ნაციონალებიდან კი სერგო რატიანია. პირველ ტურში კობიაშვილმა 49,22% მიიღო, რატიანმა – 30,42%.

გლდანის 22-ე ოლქში მეორე ტურში „ქართული ოცნებიდან“ ლევან კობერიძე გავიდა. მას მხარი 44,75%-მა დაუჭირა. მისი კონკურენტი ნაციონალი გიორგი ბარამიძეა. მას 25,61% უჭერს მხარს.



◆ ◆ ◆

ზუგდიდსა და მარნეულში სადავო უბნებზე განმეორებითი კენჭისყრები გაიმართება და იქ, შესაძლოა, მეორე ტურის ჩატარება საჭირო აღარ გახდეს.

სხვა რეგიონებში კი ასეთი ვითარებაა:

საგარეჯოს ოლქი – „ქართული ოცნება“, რომან მუჩიაშვილი – 46,79%, ნაციონალური მოძრაობა, ზურაბ ჭიაბერაშვილი – 24,8%. ეს უკანასკნელი პარტიული სიით უკვე მოხვდა პარლამენტში.

გურჯაანის 24-ე ოლქი – „ქართული ოცნება“, დავით სონღულაშვილი – 43,46%; ნაციონალური მოძრაობა, გიორგი ღვინიაშვილი – 25%.

ლაგოდეხის 26-ე ოლქში „ქართული ოცნება“, გურამ მაჭარაშვილი 37,8%, ნაციონალური მოძრაობა, გურამ კაკალაშვილი – 23,58%.

თელავი-ყვარლის 27-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ირაკლი სესიაშვილი – 41,62%, ნაციონალური მოძრაობა, გიორგი ბოტკოველი – 35,39%.

ახმეტის 28-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, გელა სამხარაული 47,23%, ნაციონალური მოძრაობა, შაქრო ტერტერაშვილი 32,32%.

რუსთავის 29-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, პაატა მხეიძე 44,88%, ნაციონალური მოძრაობა, მამუკა ჩიქოვანი 31,84%. სიითი შემადგენლობით ეს უკანასკნელიც მოხვდა პარლამენტში.

რუსთავის 30-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, გიორგი ბეგაძე – 46,97%; ნაციონალური მოძრაობა, დავით კირკიტაძე 33,94%.

მცხეთის 37-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, დიმიტრი ხუნდაძე – 41,23%, დამოუკიდებელი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელი – 39,75%. პარტიული სიით ხუნდაძეც გასულია პარლამენტში.

კასპის 39-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ირაკლი მეზურნიშვილი – 45,64%, ნაციონალური მოძრაობა, ნუგზარ ნონიაშვილი – 22,9%.

გორის 41-ე ოლქში, ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან წასვლის მიუხედავად, მეორე ტური მაინც გაიმართება. ალასანიას კონკურენტი მეოცნებე იოსებ მაკრახიძე იქნება. მან ხმების 33,69% აიღო პირველ ტურში, ალასანიამ – 19,38%.

გორის 42-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, თენგიზ ხუბულური – 41,77%, ნაციონალური მოძრაობა, ბადრი ბასიშვილი – 24,88%;

ხაშურის 43-ე ოლქში – „თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“, სიმონ ნოზაძე – 31,96% „ქართული ოცნება“, ვალერი გელაშვილი – 20,11%.

ახალციხის 44-ე ოლქში – ნაციონალური მოძრაობა, ვაჟა ჩიტაშვილი – 44,32%, „ქართული ოცნება“, გიორგი კოპაძე – 39,52%;

ქუთაისის 47-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, გენადი მარგველაშვილი – 40,73%, ნაციონალური მოძრაობა, გიორგი თევდორაძე – 29,34%.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზილაბაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევეჯვრიშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჭუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. სადავო უფლებები დაცულია.

# „2 თვეში „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ცხვირში მოხვდება“

## ლევან ხაბეიშვილი: „მიმდინარეობს ნაცმოძრაობის ქდმზაცია“

შორენა მარსაგიშვილი

რაზე გაურიგდნენ ნაცმოძრაობის ლიდერები ბიძინა ივანიშვილს, რა სიურპრიზები ელოდება „ქართულ ოცნებას“, რატომ არის აუცილებელი პროდასავლური პარტიების გაერთიანება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.

***– უკვე რამდენიმე პარტიამ გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი გაერთიანების შექმნა აუცილებელია. ამ იდეას თქვენი პარტიაც იზიარებს და როგორ წარმოგიდგენიათ ამის გაკეთება?***

– არჩევნების შემდეგ პარლამენტს მიღმა დარჩენილი პროდასავლური პარტიები შოკიდან ვერ გამოდიან, არც კომენტარებს იძლევიან და გარეთაც კი არ გამოდიან. ეს ამბავი სასიხარულო ნამდვილი არ არის, მით უმეტეს, რომ, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყოდა, შუა გაიკრიფა.

ამ არჩევნების შედეგებით კმაყოფილნი არც ჩვენ ვართ, მაგრამ პანიკაში არ ჩავვარდნილვართ და უკვე ვიწყებთ სამზადისს თვითმმართველობის არჩევნებისთვის, რომელიც მომავალ წელს უნდა ჩატარდეს. ამ შემთხვევაში მე კონკრეტულად პარტია „ახალ საქართველოს“ ვგულისხმობ. ბლოკი, რომელთან ერთადაც არჩევნებში მონაწილეობა მივიღეთ, მანამდე იარსებებს, ვიდრე არჩევნების საბოლოო შედეგები არ გამოცხადდება.

ახლა რაც შეეხება გაერთიანებას, ჩვენი ცალსახა პოზიციაა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს პროდასავლური ძალების გაერთიანება. ამის აუცილებლობა ამ არჩევნებზეც გამოჩნდა. საბოლოო ჯამში, პროდასავლურმა პარტიებმა ამომრჩეველთა ხმების 20% აიღეს. ცალ-ცალკე, გაერთიანების გარეშე ძალიან რთულია, ებრძოლო ორ ისეთ მონსტრს, როგორებიც არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მონაწილეობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ისინი ერთმანეთს ეხმარებიან.

***– რაში ეხმარებიან?***

– იმაში, რომ პოლიტიკური ველი მოსუფთავებული იყოს და მხოლოდ ამ ორ პარტიას შორის კეთდებოდეს არჩევანი. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოხდეს პროდასავლური ძალების გაერთიანება. ამ ძალებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არანაირი ნდობა და რეიტინგი არა აქვთ. მათთან თანამშრომლობას არ ვაპირებთ.

***– ვისთან არ გსურთ თანამშრომლობა?***

– მოდით, ნუ დამაკონკრეტებინებთ. საზოგადოება ძალიან კარგად ხვდება, თუ ვინ არიან ასეთი ძალები. გაერთიანება უნდა მოხდეს ჯანსაღ ძალებსა და ახალი თაობის პოლიტიკოსებს შორის.

***– ზემოთ აღნიშნეთ, რომ ნაციონალები და „ქართული ოცნება“ პოლიტიკური ველის მოსუფთავებას ცდილობენ. თქვენი აზრით, ახალი გაერთიანება, თუ ის შედგა, ხელს შეუშლის ამ პროცესს?***

– პოლიტიკური ველი უკვე მოასუფთავა ამ ორმა პარტიამ. იქ შესვლა მხოლოდ გაერთიანების შემთხვევაში შეიძლება. დღეს მიმდინარეობს ყოფილი ხელისუფლების სრული ქრისტიან-დემოკრატიზაცია. მკითხველს შევახსენებ, რომ 2008-2012 წლებში ქრისტიან-დემოკრატების პარტია იყო ნაციონალების სატელიტი. ეს პარტია იყო შირმა ოპოზიცია. ეს შეფასება ყველა იმ ადამიანს არ ეკუთვნის, ვინც ამ პარტიის წევრები იყვნენ, მაგრამ ლიდერიშიფი ნამდვილად ნაციონალებს „აპრავებდა“.

ახლა ზუსტად იგივე ხდება ნაცმოძრაობის მისამართით. ამ პარტიაშიც არიან ისეთები, რომლებსაც არ სურთ, რომ ისინი „ოცნების“ სატელიტები იყვნენ. სამაგიეროდ, ლიდერები სხვანაირად ფიქრობენ. გიგა ბოკერია, დავით ბაქრაძე და თამარ ჩერგოლეიშვილი ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებენ. ყოფილი ხელისუფლების საარჩევნო სიასაც თუ გადავხედავთ, პირველ ადგილებზე ძირითადად ამ სამეულთან დაახლოებული ხალხია. პარლამენტშიც სწორედ ეს ხალხი ხვდება.

კიდევ ერთხელ ვამბობ, მიმდინარეობს ამ პარტიის ქდმზაცია. ისინი ერთ საქმეში უკვე დაეხმარნენ „ქართულ ოცნებას“ და არჩევნები „გაუპრავეს“.

***– არჩევნების „გაპრავებაში“ პარლამენტში შესვლას გულისხმობთ?***

– ესეც „გაპრავებაა“, მაგრამ მე სხვა რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება. არჩევნებზე დარღვევების აღმოჩენის ყველაზე დიდი რესურსი ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა. მათ ყველგან ჰყავდათ კომისიის წევრები და დამკვირვებლები. მათ ამა თუ იმ დარღვევაზე საჩივრის დაწერა შეეძლოთ. ეს არ გააკეთეს და არჩევნებს „უპრავებს“ ივანიშვილს, როცა მეორე ტურში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს.

პარტიის ლიდერებმა გიგა ბოკერიამ და დავით ბაქრაძემ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ პარლამენტში ბევრ ხალხს ვერ გაიყვანდნენ, მაგრამ მომხრეებს ატყუებდნენ, ეუბნებოდნენ, ხელისუფლებაში მოვიდეთო. პარლამენტში შესული ნაცმოძრაობის მთავარი მისია ხელისუფლების „გაპრავება“ იქნება.

***– თქვენი აზრით, პარლამენტში შესული ნაცმოძრაობა „გაპრავების“ მეტს ვერაფერს შეძლებს?***

– 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში 54 კაცი ჰყავდა და რა გააკეთეს? ახლა 25 თუ 27 კაცით რა უნდა გააკეთონ? ადგებიან და თავიანთ ამომრჩეველს მოატყუებენ. ამ ადამიანებისთვის პარლამენტში მოხვედრა იყო პრინციპული პოზიცია. იქნებიან კომფორტში და „გააპრავებენ“ ივანიშვილს.

***– რამდენჯერმე ახსენეთ, რომ ყოფილი ხელისუფლების დანიშნულება ივანიშვილის „გაპრავებაა“. ამას პარლამენტს მიღმა დარჩენილი ნაციონალები დაუშვებენ? კი ამბობენ, ჩვენ შორის არანაირი განხეთქილება არ არისო, მაგრამ პარტიიდან სხვა ამბები გამოდის.***

– განხეთქილება როგორ არის. სოციალურ ქსელს თუ გადავხედავთ, იქიდანაც ჩანს, რომ პარტიაში მძიმე მდგომარეობაა. ნაცმოძრაობაში არიან ადამიანები, რომელთა მიზანი არა 25 მანდატის მოპოვება, არამედ ივანიშვილის რეჟიმის დასრულება იყო. ბოკერია-ბაქრაძის გუნდმა ხელისუფლებასთან გარიგებაში შევიდა და 25 კომფორტული სკამი მიიღო. მათ გარეთ დარჩენილები ხელს ვეღარ შეუშლიან. ზღაპარი, რომელსაც 4 წელი ყოფილი ხელისუფლება მომხრეებს უყვებოდა, დასრულდა.

მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ამ პოლიტიკურ ძალას აღარანაირი პერსპექტივა არა აქვს და ის, ფაქტობრივად, დასრულდა. ისინი „ოცნების“ დამხმარეებად იქცნენ და მათთან ერთად შექმნეს მონსტრი, რომლის დამარცხებაც მხოლოდ პარტიების გაერთიანებით იქნება შესაძლებელი.

***– ახალ გაერთიანებაში თუ მოიაზრებთ ნაციონალებს? საუბარია იმათზე, ვინც პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობს?***

– ამ გაერთიანებაში მხოლოდ სუფთა წარსულის მქონე ადამიანები წარმომიდგენია. ბაქრაძის, ბოკერიასა და ნადირაშვილის ტიპის პოლიტიკოსებს იქ არაფერი ესაქმებათ.

***– ექსპერტებისა და პოლიტიკოსების დიდი ნაწილი შიშით უყურებს „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– მე ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მაქვს და მაგალითი კონკრეტული ციფრებით მინდა მოგიყვანოთ.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის შემდეგ მიშა სააკაშვილი გადადგა და 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში 53% მიიღო.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერამ 59% შეადგინა საქართველოს მასშტაბით და ნაცმოძრაობამ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა.

2010 წელი. ხელისუფლების თავზე უკვე დიდი შავი ღრუბელი იყო მომდგარი, მაგრამ გიგი უგულავამ მოსახლეობის 55% მხარდაჭერა მიიღო. ხელისუფლებამ მოიგო ყველა რეგიონი და სოფელი, რითაც კიდევ უფრო მყარი საფუძველი ჩაყარა 2012 წლის გამარჯვებისთვის.

2011 წელს ყველაფერი თავდაყირა დადგა. პოლიტიკაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და ოპოზიცია მოძლიერდა. 2012 წელს მათ არჩევნები მოიგეს.

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა ბევრს არაფერს ნიშნავს?***

– ბევრს როგორ არ ნიშნავს, მაგრამ ხალხის ნდობა მთავარია. ამათ ნაადრევად დაიწყეს ტკბობა საკონსტიტუციო უმრავლესობით. მინდა მივმართო ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაშინ, როცა გგონიათ, რომ საფრთხე გადაიარეთ, ყველაზე მეტი ხიფათი თავად ხართ ერთმანეთისთვის. ვფიქრობ, უნდა გეშინოდეთ. ხალხის მოთმინების ფიალას აღარაფერი აკლია.

მინდა შევახსენო ისიც, რომ ნაცმოძრაობაში მათზე ბევრად ჭკვიანი ხალხი იყო. მათ ყველა ბერკეტი ხელში ჰქონდათ, მაგრამ მაინც ჩამოიშალნენ. ახლა იმავე გზას გადის „ქართული ოცნება“.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ 2016 წლის არჩევნებზე „ოცნებას“ მხარი მხოლოდ 800.000 ადამიანმა დაუჭირა. ამის მიუხედავად, მათ, ფაქტობრივად, ხელში უჭირავთ საკონსტიტუციო უმრავლესობა, რაც, როგორც ქვეყნისთვის, ასევე თავად ხელისუფლებისთვის არის სახიფათო. დიდ ტაშ-ფანდურსაც ნუ გამართავენ, არაფერი გარანტირებული არა აქვთ, ხალხის მოთმინების ფიალა ივსება.

***– სხვებთან შედარებით ძალიან ოპტიმისტურად უყურებთ მომავალს. გულწრფელად გჯერათ, რომ პოლიტიკაში დღეს არსებული სიტუაცია შეიცვლება?***

– დარწმუნებული ვარ. დღეს ჩვენი ხელისუფლება განცხრომაშია. ისინი ნაბახუსევიდან მეორე ტურების შემდეგ გამოვლენ. უკვე ნოემბერში მათ წინ დახვდებათ პრობლემები, რომელსაც უნდა გაუმკლავდნენ. იმისათვის, რომ პრობლემას გაუმკლავდე, ამის უნარი უნდა გქონდეს. „ქართულ ოცნებას“ პრობლემებთან გამკლავების არც სურვილი აქვს და არც უნარი. მათ სულ სხვა მიზნები ამოძრავებთ. ამ დროს, კიდევ ერთხელ ვამბობ, მოსახლეობის მოთმინების ფიალა არის ზღვარზე და 800.000 ხმითაც ძალიან ნუ დაიმშვიდებენ თავს. მათ კარგად უნდა იცოდნენ, რომ ამდენივე ამომრჩეველი მისი წინააღმდეგია. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი რამე შეიცვლება. დაახლოებით ორი თვის თავზე „ოცნებას“ უკვე ცხვირში მოხვდება თავისი საკონსტიტუციო უმრავლესობა. ამ დროისთვის პროდასავლური პარტიები უკვე გაერთიანებული უნდა ვიყოთ. პრანჭიაობისა და დაპირისპირების დრო აღარ არის.



„მოქმედმა და ყოფილმა ხელისუფლებებმა პოლიტიკური ველი მოასუფთავეს“

# პარლამენტი 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავს

**დღეს, 17 ოქტომბერს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი 2017 სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შემაჯამებელ სხდომას გამართავს, რითაც ბიუჯეტის პროექტის კომიტეტებში განხილვის ეტაპი დასრულდება.**



საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელ სხდომამდე ამავე საკითხზე დაგეგმილია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომა. ამასთან, პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის განრიგის გათვალისწინებით, დღესვე უმცირესობისა და უმრავლესობის სხდომები უნდა გამართულიყო, თუმცა, ინტერპრესნიუსის ინფორმაციით, საფინანსო დოკუმენტის განხილვა არც უმცირესობისა და არც უმრავლესობის ფორმატში არ იგეგმება.

საბიუჯეტო პროექტის განხილვის პირველი ეტაპი ჯერ კიდევ მოქმედ პარლამენტში გაიმართება. საბოლოოდ მას მომავალი პარლამენტი დაამტკიცებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა მთავრობას უკან უნდა დაუბრუნდეს კომიტეტებსა და უმრავლესობა/უმცირესობის სხდომებზე გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით.

თავის მხრივ, მთავრობამ პროექტის გადამუშავებული ვარიანტი პარლამენტს არაუგვიანეს 5 ნოემბრისა უნდა წარუდგინოს. ამის შემდეგ ბიუჯეტის განხილვის პროცესი პარლამენტის პლენარული სხდომის ფორმატში გაგრძელდება, სადაც პროექტს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის რომელიმე წევრი წარადგენს.

ასეთ დროს საბიუჯეტო პროექტის წარმდგენი ძირითადად ფინანსთა მინისტრია.

პლენარული სხდომის ფორმატში გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით პროექტი მთავრობას კიდევ ერთხელ – არაუგვიანეს 15 ნოემბრისა უკან დაუბრუნდება, ხოლო მთავრობა ფინანსურ დოკუმენტს პარლამენტში არაუგვიანეს 30 ნოემბრისა შეიტანს.

პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევს ამტკიცებს.

◆ ◆ ◆

2017 წლის ბიუჯეტის პროექტით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 10 მილიარდ 555.0 მლნ ლარის ოდენობით. მათ საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 9 მილიარდ 520.0 მლნ ლარს, გრანტები – 135.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები – 900.0 მლნ ლარს.

მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კონსერვატიული მიდგომით არის დაგეგმილი და 2017 წლისათვის მშპ-ს რეალური ზრდისა და მშპ-ის დეფლატორის პროგნოზი 4%-ს შეადგენს.

არსებული მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, 2017 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი 8 მილიარდ 850.0 მლნ ლარს შეადგენს.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8 მილიარდ 715.0 მლნ ლარით განისაზღვრა, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი კი 8 მილიარდ 170.0 მლნ ლარს შეადგენს.

2017 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 265.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო გრანტები – 130.0 მლნ ლარით, ხოლო საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტები – 135.0 მლნ ლარით.

2017 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 280.0 მლნ ლარის ოდენობით; ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები სახსრების გეგმა განსაზღვრულია 1 მილიარდ 660.0 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის: საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები – 900.0 მლნ ლარი; მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საბიუჯეტო კრედიტები – 460.0 მლნ ლარი; სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა – 300,0 მლნ ლარი.

კანონპროექტის მიხედვით, 2017 წელს მისაღები შემოსულობების, ისევე, როგორც გადასახდელების მთლიანი მაჩვენებელი, განსაზღვრულია 10 მილიარდ 555.0 მლნ ლარის ოდენობით.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ფეოდალური პოლიტიკური პლურალიზმი

## „ქართული ოცნების“ დაღმასვლა გარდაუვალია, ამბობს ექსპერტი სარჯველაძე

**საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ ოფიციალურად გაფორმებული არ არის, თუმცა უკვე ყველასათვის ცნობილია, ამომრჩევლის გადაწყვეტილებით, ვინ რჩება და ვინ ტოვებს პოლიტიკური ცხოვრების მთავარ ლოკომოტივს. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკანონმდებლო ორგანოში მინიმუმ 4 წლის განმავლობაში თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს ვერ ვიხილავთ, სამაგიეროდ, პარლამენტში მოხვდა ირმა ინაშვილი 6 კაცით.**

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმათა უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვეს, თუმცა „ქართული ოცნების“ რამდენიმე კანდიდატმა 50-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა. სწორედ ამიტომ მეორე ტურის გამართვა გახდა საჭირო, სადაც ერთმანეთს ძირითადად ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ კანდიდატები დაუპირისპირდებიან.

სანამ პოლიტიკური პარტიები თვითლიკვიდაციაზე ან სამომავლო გეგმებზე მსჯელობენ. ექსპერტები 8 ოქტომბრის შედეგებს აანალიზებენ.

ექსპერტთა ნაწილი პარლამენტიდან პროდასავლური პარტიების გასვლის ფაქტს არასახარბიელოს უწოდებს.

— შექმნილი მდგომარეობა არ არის მაინცდამაინც ქართული დემოკრატიისთვის სახარბიელო, იმიტომ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ვიღაცა იღებს აბსოლუტურ ძალაუფლებას, ეს არის ძალიან ცუდი საცდური. მიუხედავად საკონსტიტუციო უმრავლესობისა, მათ აქვთ საკმაოდ სუსტი სახალხო ლეგიტიმაცია, იმიტომ, რომ ამომრჩევლის მაქსიმუმ 30%-მა მისცა ხმა. შესაბამისად, ეს კრიზისის ფორმირების რისკებს არათუ ძალაში ტოვებს, არამედ, საკმაოდ მაღალი ალბათობით, ასეთი რისკები სამომავლოდ შეიქმნება, — აცხადებს გია ხუხაშვილი.



ზაზა ფირალიშვილი მთავარ პრობლემას არა ორპარტიულ პარლამენტში არამედ, ძველ და მობეზრებული კონფიგურაციაში ხედავს.

— მთავარი ის კი არ არის, რომ ორპარტიული პარლამენტი მივიღეთ. ასეთი რამე ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ ქვეყანაში. მთავარი ისაა, რომ კვლავ ძველი და მობეზრებული კონფიგურაცია მობრუნდა. კიდევ ოთხი წელი მოგვიწევს ბევრი ისეთი მავანის ყურება, უფრო სატირული ჟურნალების პერსონაჟებს რომ ჰგვანან. ასეთებმა იმრავლეს კიდეც.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ოპოზიციური ძალა კატეგორიულად არის ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელი და მას მხოლოდ საპროტესტო მუხტის მითვისება და გაფანტვა ძალუძს. ხელისუფლებას არ ჰყავს სრულფასოვანი ოპონენტი. ამიტომაც არსებობს საფრთხე, რომ პოლიტიკური ცხოვრება კვლავ შემთხვევითი პოლიტიკური დემაგოგების ხელში ჩავარდება. ასეთი პარლამენტი ქვეყნის სტაბილური განვითარების გარანტი ვერ იქნება, — ამბობს ზაზა ფირალიშვილი.

მისი თქმით, ის, რაც ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ფეოდალური პოლიტიკური პლურალიზმი.

— პოლიტიკური პარტიები „ერთადერთი და განუმეორებელი“ ფეოდალების ხელშია, კბილებით რომ იცავენ თავიანთ სამფლობელოებს. იდეოლოგიურ ტყუპისცალებს საერთო ენა ვერ უპოვიათ. მავანთა პიროვნული მესიანიზმით ჩნდება და ქრება კარიკატურული პოლიტიკური წარმონაქმნები. თუ ადრე ამას რაღაც გამართლება მაინც ჰქონდა, დღეს უკვე ქვეყნის განვითარებას ამუხრუჭებს.

პოლიტიკურ და პიროვნულ ნარცისიზმზე ღარაფერს ვიტყვი. სამარცხვინოა, ნარცისივით იქცეოდე და ასეთი შედეგები გქონდეს. იდეოლოგიური სნობიზმი და ზერელობა ხომ კიდევ ცალკე პრობლემაა. მოკლედ, ვართ იქ, სადაც ვართ, — ასკვნის ფირალიშვილი.

◆ ◆ ◆

ექსპერტ ნოდარ სარჯველაძის აზრით, რომ „ქართული ოცნება“ თავისი შესაძლებლობების უმაღლეს წერტილში ავიდა და მმართველი პარტიის დაღმასვლას პროგნოზირებს.

— ასეთია ბუნების კანონი: იბადება, იზრდება, მოხუცდება და კვდება. „ოცნების“ სლოგანი — თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა — ქიმერაა. სწრაფი განვითარება ნიშნავს, რომ განვითარების ტემპები უნდა დააჩქარო, მაგრამ ნებისმიერ განვითარებას თავისი შინაგანი ტემპები აქვს და მისი ხელოვნური დაჩქარება ისევე მავნებელია, როგორც ხელოვნური შეჩერება, — აცხადებს ნოდარ სარჯველაძე.

მისი აზრით, დაჩქარებული განვითარების უბადლო ოსტატი სააკაშვილი იყო. თუკი „ქართული ოცნება“ განვითარების ტემპებს ხელოვნურად დააჩქარებს, იმავე გზების გამოყენება დასჭირდება, რომლებიც მიშას ჰქონდა, ეს კი ჩვენ უკვე გავიარეთ და ვიცით მისი დამანგრეველი ფასი.

— მაგრამ, საბედნიეროდ, „ოცნება“ ამას ვერ შეძლებს და დაპირებაც ჩაუვარდება. რაც შეეხება კეთილდღეობას, ეს ხალხმა და ადამიანებმა თვითონ უნდა მოიპოვონ და არა მთავრობამ უნდა მიართვას, რადგან მთავრობის მოტანილ კეთილდღეობას მთავრობავე წაიღებს. რაც მთავარია, პარლამენტსა და ხელისუფლებაში ისევ იქნება კომპეტენტურობის დეფიციტი, ისევ იბოგინებს სიძულვილის ენა და ურთიერთლანძღვაგინება, — მიიჩნევს სარჯველაძე.

ექსპერტი პოლიტიკური თამაშიდან გარიყულ პოლიტიკოსებზეც საუბრობს.

მისი თქმით, ალასანიას წასვლა ქართული პოლიტიკისთვის დიდი დანაკლისია, დავით უსუფაშვილის ადგილი პარლამენტის თავმჯდომარეობის შემდეგ უნივერსიტეტშია, პაატა ბურჭულაძე კი კარგ მომღერლად დარჩა.

— ალასანიამ გამოიყენა პოლიტიკიდან დროებით წასვლა ანუ ახლა ირაკლი შეცდომების გაანალიზების ეტაპზეა, მერე შეიძლება დაბრუნდეს ან თავისი რესურსები სხვა მიმართულებით გამოიყენოს. კრიზისია და ამ კრიზისს დაფიქრება, განრიდება სჭირდება. ეს ისეთი პოლიტიკოსის გადაწყვეტილებაა, რომელიც სიბრძნისკენ მავალი ადამიანია. არ ყვირის, უძრავადაა და ფიქრობს, რომ მერე ძალიან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინოს საკუთარ ცხოვრებაში.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, მას პოლიტიკოსად არ ვთვლი, ის არის კარგი მომღერალი, რომელიც პოლიტიკოსად ვერ შედგა.

დავით უსუფაშვილზე მწყდება გული. მე მას მივეცი ხმა მაჟორიტარულ არჩევნებზე. ვთვლი, რომ ძალიან დაღვინებული პოლიტიკოსია. ქვეყნისთვის პარლამენტში ამ ადამიანის ყოფნა, თუნდაც თავმჯდომარის რანგში, ძალიან კარგი იქნებოდა. მსგავს კანდიდატს ხელისუფლება ვერ იპოვის, — აღნიშნავს ნოდარ სარჯველაძე.

ექსპერტი „ქართული ოცნების“ განახლებულ სახეებსა და პარლამენტის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძის შესაძლო დანიშვნასაც ნეგატიურად უყურებს.

— ივანიშვილსა და ამ გუნდს ფინანსური რესურსები უზარმაზარი აქვთ, მაგრამ მეეჭვება მათი რესურსის, როგორც პოლიტიკოსების. საკუთრივ კობახიძეს რაც შეეხება, რასაც ტელეეთერებში ვუყურებ, მისი გამოსვლები მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. თუ ასე გაგრძელდა, „ოცნების“ ფართომასშტაბიანი ქილიკი გარდაუვალია. ივანიშვილმა შესანიშნავი ბიზნესიმპერია შექმნა, მაგრამ პოლიტიკა სხვა სფეროა. ძლიერი პოლიტიკური პარტიის შექმნის პოტენციალს ივანიშვილში ვერ ვხედავ. პოლიტიკაში მის ყოფნას სჯობია, იყოს ბიზნესში. ის შეიძლება კარგი საზოგადო მოღვაწე იყოს, რომელიც სასიკეთო პროექტებს განახორციელებს და არ იქნება პოლიტიკური პარტიის მეთაური, თუმცა ესენი ვერ ასცდებიან კარნახს ზემოდან, — აცხადებს ექსპერტი.

მისი თქმით, „ქართული ოცნებაც“ ისტორიას ჩაბარდება, მთავარია, როგორ შევა ეს პარტია ისტორიაში.

**დავით ჯაბაშვილი, ნიუპოსტი**

# სააკაშვილი: „სირცხვილია, რომ საქართველოს დელეგაციამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ მისცა ხმა“




— ის, რომ საქართველოს დელეგაციამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ მისცა ხმა და არ დაუჭირა მხარი უკრაინას, სირცხვილია.

ასე გამოეხმაურა ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმას, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებაში ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა არ მიიღო.

მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ქართული დელეგაციის ეს პოზიცია ქართველი ხალხის აზრს არ ასახავს.

— თუმცა, ჩვენ უნდა გავიგოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს საქართველო. საქართველოს მართავს „გაზპრომის“ მსხვილი აქციონერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც საქართველოში ბოლო არჩევნებზე, პირველ ტურში სერიოზული მანიპულაციებით, ფალსიფიკაციითა და ძალადობით ლიდერობს, თუმცა წინ არის მეორე ტური.

მე დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინასთან მიმართებით ეს სამარცხვინო პოზიცია, რომელიც შავ ლაქად დარჩება საქართველოს ისტორიაში, არ ასახავს საქართველოს საზოგადოებას აზრს. მე არ მინახავს არცერთი ქართველი, რომელიც ღიად არ უჭერს მხარს უკრაინას, — განაცხადა სააკაშვილმა.

ის ამბობს, რომ ასობით ქართველი იბრძოდა და იბრძვის დღესაც უკრაინაში მოხალისეებად რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ათზე მეტი უკვე დაიღუპა ამ ბრძოლაში.

— საქართველო არის ქვეყანა, საიდანაც ყველაზე მეტი მოხალისე ჩამოვიდა უკრაინაში, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ, იმის გამო, რომ ისინი იბრძვიან უკრაინის მხარდასაჭერად, ებრძვიან რუსეთის აგრესიას, აღძრა სისხლის სამართლის საქმეები და ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ამის გამო სამშობლოში დაბრუნებას. ისინი სისხლის სამართლის დევნას აწარმოებენ მათზე, ვინც თავისი სიცოცხლის რისკის ფასად იცავს უკრაინას, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი აზრით, ეს დროებითია.

— როგორც იანუკოვიჩის მმართველობა ვერ გაგრძელდა დიდხანს უკრაინაში, ისე ვერ გაგრძელდება ივანიშვილის მმართველობა, თუმცა მეცოდება ჩემი ერი და მრცხვენია მისი ხელისუფლების გამო, — განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა.

◆ ◆ ◆

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ უკრაინასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. პირველი რეზოლუცია ეხება „უკრაინაში კონფლიქტის პოლიტიკურ შედეგებს“, ხოლო მეორე — „უკრაინის ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად უკრაინულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევების სამართლებრივ საშუალებებს“.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვებგვერდზე გამოქვეყნებული კენჭისყრის შედეგებიდან ირკვევა, რომ საქართველოს დელეგაციის არცერთ წევრს არცერთი რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურში მანანა კობახიძის, ეკა ბესელიას, ზვიად კვაჭანტირაძისა და გუგული მაღრაძის მონაწილეობით იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს საკუთარი გადაწყვეტილების გამხელის შერცხვა

**მართალია, საპარლამენტო არჩევნები ჯერ არ დასრულებულა და 50 ოლქში მეორე ტური გველოდება, წინასწარი დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია.**

**მარტივი დასათვლელია ისიც, თუ რამდენად მოახერხეს ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეგზიტპოლების ჩატარება დაუკვეთეს, საკუთარი მისიის განხორციელება და რამდენად რეალური შედეგები მიაწოდეს ამომრჩეველს.**

სწორედ ეგზიტპოლების შედეგებზე და, ზოგადად, ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე საინტერესო კომენტარს აკეთებს ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა.

— ადამიანი იქ, სადაც უფრო მეტი სიმშვიდე ეძლევა, ბრძოლის ველად არ თვლის ან ნაკლებად თვლის საარჩევნო გარემოს. ასამაღლებელია ის ცნობიერება, რომ ყველა არჩევნები, შენი ხმა, ზუსტად არის ბრძოლის ველი, სადაც არის შენი ნება გამოხატული, თუ რა გინდა, რას ირჩევ. ამ შემთხვევაში თითქოს პარადოქსია, რომ უფრო უნდა მოგინდეს, ხმა მისცე იმ ხელისუფლებას, სადაც არ არის ისეთი მკაფიო ძალადობა. ადამიანს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რა ნიშნით ირჩევს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას. ეს ცნობიერება ნაკლებია, — განაცხადა ნანა ჩაჩუამ.

აი, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი კი მიიჩნევს, რომ ეგზიტპოლების შედეგებსა და ცესკოს მონაცემებს შორის ცდომილება იმან გამოიწვია, რომ ადამიანებს რცხვენიათ თქვან, თუ ვის მისცეს ხმა.

— ჩემი აზრით, ეს ცდომილება ყველაზე ნიშანდობლივია. პოსტსაარჩევნო ანალიზი აუცილებლად გასაკეთებელია. ჩემი პირადი აზრია, რომ საქართველოში არსებობს ამომრჩევლის კატეგორია და ეს კატეგორია არის რამდენიმე ათეული ათასი, რომელიც არ არის პროპაგანდით მოტყუებული. მან ყველაფერი იცის ნაციონალური მოძრაობისა და იმ ძალადობის შესახებ, თუმცა მას მოსწონს და ხმას აძლევს, ამავდროულად, ზუსტად იცის, რომ ეს არის სამარცხვინო.

ერთადერთი სამარცხვინო პარტიაა ნაციონალური მოძრაობა, რომლის მხარდაჭერა საფრთხის მატარებელია. მე მაფრთხობს ის 5%, რომელმაც ეს არჩევანი ცნობიერად გააკეთა და მან ზუსტად იცის, რომ ეს არის საფრთხის მატარებელი. ორჯერ დაიკლო ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა რაოდენობამ 2012 წლის შემდეგ. 2012 წელს მათ მიიღეს 840 ათასი ხმა, დღეს მიიღეს 480 ათასი ხმა. შესაბამისად, ფსონზე ხელისუფლება იდო 2012 და 2016 წლებში. ნაციონალურ მოძრაობას აქვს კატასტროფული ვარდნა, რაც მახარებს, რადგან ჩვენ ეტაპობრივად ვძლევთ იმ სენს, რომელიც ყველას ერთად შეგვეყარა 2003 წელს, — აღნიშნა ლაშა ნაცვლიშვილმა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრ „გორბის“ ხელმძღვანელ მერაბ ფაჩულიას მიაჩნია, რომ ცდომილება ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორების ბრალიც არის.

— ჩვენ სამი წინასაარჩევნო გამოკითხვა ჩავატარეთ „იმედისთვის“, სადაც აშკარად ჩანდა 20%-იანი და მეტი სხვაობა პირველ ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის. სამწუხაროდ, შეძლეს ჩვენი ეგზიტპოლის პოლიტიზება და დისკრედიტაცია. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები მოუწოდებდნენ თავიანთ მხარდამჭერებს, არ მიეღოთ ჩვენს ეგზიტპოლში მონაწილეობა. ამასთან, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები არ ამბობდნენ, თუ ვის მისცეს ხმა. ამომრჩევლების ნაწილი თავს არიდებდა პასუხს ან რცხვენოდათ ეთქვათ, ვის აძლევდნენ ხმას.

ეს არის ის ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვია ცდომილება, ასევე, მესამე მიზეზია, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა ისტორიული მონაცემები, თუ რა მოტივაციით აძლევს ხმას ამომრჩეველი პარტიებს. უახლესი ისტორიული მონაცემი, რითაც უნდა გვესარგებლა და უარი ვთქვით, იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. პოსტსაარჩევნო კვლევასაც, რომელიც ჩატარდება, რამდენიმე მიზეზი აქვს. უნდა ავხსნათ, რამ გამოიწვია უკვე გადაწყვეტილება, ის, რაც მიიღო ამომრჩეველმა. ვნახოთ, ეგზიტპოლებმა რა გავლენა და ნდობა მოიპოვა მოსახლეობაში და არის ძალიან ბევრი ტექნიკური პარამეტრი, რაც, უბრალოდ, აუცილებელია, — აღნიშნა მერაბ ფაჩულიამ.

ფაქტი ის არის, რომ ეგზიტპოლების შედეგები საქართველოსა და ევროპა-ამერიკაში რადიკალურად განსხვავებულია და ცდომილებებიც ძალიან დიდია.

# თენგიზ დიხამინჯია: „მესამე ძალა ვერ ჩამოყალიბდა“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ საპარლამენტო არჩევნების შედეგებსა და რიგი პოლიტიკური პარტიების დამარცხების მიზეზებს აანალიზებს.

***– ბატონო თენგიზ, თქვენი შეფასებით, როგორ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები?***

– არჩევნები, ჯერჯერობით, დამთავრებული არ არის, მაგრამ უკვე ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციური უმრავლესობა ჰყავს. ნაციონალები გავიდნენ ძალიან დიდი პროცენტული შემადგენლობით და ძალიან მოკრძალებული პროცენტებით გადის პატრიოტთა ალიანსი.

***– ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა არ მივიდა არჩევნებზე. მაღალი პროცენტები, იმავე ნაცმოძრაობის, ამის ბრალი არ არის?***

– მხოლოდ ამის ბრალი არ არის. დაახლოებით 49% არ მივიდა არჩევნებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდობლობას უცხადებდა არა მარტო „ოცნებას“, არამედ ყველა მოქმედ პოლიტიკურ პარტიას, ვინც ამა თუ იმ სახით იყო წარმოდგენილი. ეს იყო ან ბოიკოტი, ან სასოწარკვეთილება, ან ნიჰილიზმი, ან ინდიფერენტიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნებას“ დიდი პროცენტები კი აქვს, მაგრამ დიდი ლეგიტიმაცია არ გააჩნია.

***– თუმცა, ზოგიერთი ოპოზიციონერი ამბობს, რომ მათი რაოდენობა, ვინც არჩევნებზე არ მივიდა, 49% არ იყო.***

– 40-ც რომ იყოს, ძალიან მაინც დიდი პროცენტია.

***– ოპოზიციურ პარტიებს ძალიან დიდი საშუალება ჰქონდათ, ამომრჩეველი მიემხროთ.***

– დიდი საშუალება და თავისუფლება ჰქონდათ, შთამბეჭდავი შედეგები ეჩვენებინათ. ფაქტია, რომ ვერ აჩვენეს.

***– მიზეზი რა არის?***

– მიზეზი ისაა, რომ მესამე ძალა ვერ ჩამოყალიბდა. მესამე ძალა ნიშნავს რეალურ ალტერნატივას, ვინც უბრალოდ და გასაგებ ენაზე უნდა გააგებინოს ამომრჩევლებს თავისი სტრატეგია და მერე უნდა აიყოლიონ. ეს არის ოპოზიციის უპირველესი ამოცანა.

***– ზოგს მიაჩნია, რომ პარტიების უბრალო ეკლექტიკური გაერთიანება დანაშაულია და ნაცების გარდა დანარჩენი ოპოზიციის ამ ფორმით გაერთიანებასაც აზრი არ ჰქონდა. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

– ეკლექტიკურ გაერთიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ ეს ეკლექტიკური ძალები მთავარ პრინციპზე შეთანხმდებოდნენ, ამ პარლამენტს გარდამავალ პარლამენტად გამოაცხადებდნენ და შემდეგ დაიშლებოდნენ. ეს „ოცნებას“ უნდა გაეკეთებინა 2012 წელს.

***– 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს ყველა ვაკრიტიკებდით, 3%-იანი პარტიები, რესპუბლიკელები, ფორუმი და სხვები რატომ დაიყენა გვერდითო. ახლა, როცა „ოცნებამ“ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა, აკრიტიკებენ, ბევრი ხმა რატომ მიიღოო. როგორი პოლიტიკური ველია, ეს 3%-იანი პარტიები რატომ ვერ გაიზარდნენ?***

– კლასიკური გაგებით პარტიები საქართველოში არ არსებობენ. ძირითადად არჩევნების წინ იქმნება გაერთიანებები. პარტია პოლიტიკურ მსოფლმხედველობასა და პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული. უნდა იყოს სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დარგს და ფუნქციები განაწილებულია.

„ოცნების“ დღევანდელ სიას გადავხედე. იქაც ისეთი ხალხია, ვერ იტყვი, მემარცხენეა, მემარჯვენეა, ცენტრისტია, რა სახის სახელმწიფო უნდა, საშუალო ფენა რომელი ქვეყნის მოდელს ემყარება. ამ პრინციპებითა და კრიტერიუმებით „ოცნება“ არ არის ჩამოყალიბებული.

***– დანარჩენი ოპოზიციური პარტიები ამ კუთხით ჩამოყალიბებული არიან?***

– არ არიან. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა პირდაპირ კავშირშია ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემასთან. ამ თემებზე პოლემიკა გსმენიათ? არა. ეს შეგნებულად კეთდებოდა. ან არ გესმის ამ საგნის, იდეის მნიშვნელობა, არ გაქვს ჩამოყალიბებული, რას სთავაზობ ცხინვალსა და აფხაზეთს, რა არის საყრდენი.

***– ზოგს ეგონა, რესპუბლიკელები, ფორუმელები, ალასანიას თავისუფალი დემოკრატები, გაერთიანებული დემოკრატები, ნათელაშვილის პარტია 5-5%-ს მაინც აიღებდნენ და პარლამენტში შევიდოდნენ. პატრიოტთა ალიანსის გარდა, ბარიერი ვერავინ გადალახა. კრახი რატომ განიცადეს?***

– ასეთი შედეგი კანონზომიერია.

***– რატომ?***

– საზოგადოებას ვერ შესთავაზეს სერიოზული გეგმა, ვერ გაიზარდნენ, ამის შესაბამისი კადრები არ ჰყავდათ და ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემები ჰქონდათ. ამ მინუსების გარდა, უმთავრესი სქემა მოქმედებდა – პირველი და მეორე ადგილები ვის ერგებოდა, ფაქტობრივად, განაწილებული იყო.

***– ვინ გადაწყვიტა?***

– გადაწყვიტეს ძლიერმა მოთამაშეებმა, ვისაც შესაბამისი ლობისტები ჰყავს, შესაბამისი ფულიც აქვს და დამსახურებაც ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ეტაპამდე – ვგულის-



ხმობ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც 2012 წელს ნაციონალები ჩამოაცილა ხელისუფლებას. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პლუსი იყო.

***– ნაციონალები გადაწყვეტილად ამბობდნენ, ჩვენ ვიმარჯვებთო. ხელისუფლებაში დაბრუნების თვითონ თუ სჯეროდათ?***

– ორივემ – ნაციონალებმა და „ოცნებამ“ – ძალიან კარგად იცოდა, რომ ნაციონალები ვერ გაიმარჯვებდნენ. ეს იყო შეთანხმებული თამაში.

***– შეთანხმებული როგორ?***

– შეთანხმებული იყო, რომ პირველ ადგილზე უნდა გასულიყო „ოცნება“, მეორეზე – ნაცები.

***– ეს რა, მოლაპარაკების შედეგი იყო?***

– ეს არა მარტო მოლაპარაკებას გულისხმობს, არამედ საერთო ხედვაა. გარკვეულწილად, გარკვეული ძალები, ის მოთამაშეები, რომლებიც ამიერკავკასიასა და, კონკრეტულად, საქართველოს კურირებენ, ეტყობა, დაინტერესებული იყვნენ, ამ სახით, ამ პროცენტული თანაფარდობით ყოფილიყვნენ პარლამენტში.

***– ვინ არიან ეს მოთამაშეები?***

– მათ ვინაობას ნუ დამასახელებინებთ, ზოგი ხილულია, ზოგი – უხილავი. დარწმუნებული ვარ, სიები სხვადასხვა საელჩოს მიერ იყო დაკომპლექტებული. თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ეს საკითხი არ წყდება.

***– ამაში რა გარწმუნებთ?***

– ეს ძალიან მაგონებს ედუარდ შევარდნაძის დროს ასლან აბაშიძის ვითომ ოპოზიციონერობას.

***– მთლად ასე როგორ იქნება?***

– მე ვსაუბრობ დამოკიდებულებაზე. ვირტუალურად, გარეგნულად და მოჩვენებითად ისინი დაუნდობელი მტრები იყვნენ. უსუფაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილისგან საფრთხობელა შექმნა.

***– უსუფაშვილი თვითონ არ უჭერდა მხარს ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნებას?***

– უსუფაშვილმა განაცხადა, ოთხი წლის განმავლობაში პარლამენტისა და ჩემი მთავარი ამოცანა ნაციონალური მოძრაობის შენარჩუნება იყოო.

***– იმიტომ დარჩა თამაშგარე მდგომარეობაში.***

– ამას ამბობს ადამიანი, რომლის თავმჯდომარეობით პარლამენტმა 195 მსჯავრდებულს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. თუმცა, ამ საკითხის განვრცობა, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მომხდარა.

***– გინდათ თქვათ, რომ უსუფაშვილმა, ფაქტობრივად, თავისი პოლიტიკური საფლავი გაითხარა, როცა ნაციონალებს ლობირებდა?***

– რა თქმა უნდა. ეს ბევრჯერ მითქვამს. ცხადი იყო, რესპუბლიკელები რა თამაშს თამაშობდნენ. როდესაც ამას აღიარებ, ყველა შედეგი მოსალოდნელია.

***– ბიძინა ივანიშვილის თქმით, უსუფაშვილისთვის მტერი არც ისე ცუდია.***

– დიახ, უცხოელებისთვის გაუგებარია, როცა „ოცნებისა“ და ნაცების წარმომადგენლები სტრასბურსა და ნიუ იორკში ერთად დადიან, რუსეთს ერთად უტევენ, სახლში ერთმანეთს რატომ ასამართლებ. ამიტომ ან ერთი უნდა დარჩეს, ან – მეორე.

***– როგორც ჩანს, მართლა გარდამავალი პერიოდია.***

– ამიტომ გარდამავალი პერიოდი უნდა დამთავრდეს და ქვეყანა ახალ ეტაპზე გადავიდეს. როგორ შეიძლება, 25 წელი ქვეყანა გარდამავალ პერიოდში იყოს და გარდამავალ პერიოდს არ არქმევდე.

62 ათასი ბიულეტენია გაბათილებული. თუმცა, მეტწილად არჩევნები შედგა. პარადოქსულია, რომ ნაცმოძრაობამ, ფაქტობრივად, განაცხადა, პატარ-პატარა დარღვევები იყო, მაგრამ არჩევნები შედგა და შედეგების გადასინჯვას არ მოვითხოვთო. მხოლოდ ბურჯანაძე მოითხოვს ბიულეტენების გადათვლას. ბურჯანაძისთვის მხარი ნაცმოძრაობას, ლეიბორისტებსა და სხვებს უნდა დაეჭირათ. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

***– რაზე მეტყველებს?***

– ეს მეტყველებს იმაზე, რომ აპრიორი ეს არჩევნები შედგა.

# მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ქუთაისის 48-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, დიმიტრი მხეიძე – 45,89%, ნაციონალური მოძრაობა, აკაკი ბობოხიძე – 27,41%. სიით ბობოხიძეც მოხვდა პარლამენტში.

ქუთაისის 49-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, კობა ნარჩემაშვილი – 40,18; ნაციონალური მოძრაობა, გიორგი წერეთელი – 37,46%.

ბაღდადი-ხარაგაულის 51-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, კობა ლურსმანაშვილი – 47,07%, ნაციონალური მოძრაობა, გიორგი რობაქიძე – 26,4%.

ზესტაფონის 52-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, შალვა კიკნაველიძე – 43,34%; ნაციონალური მოძრაობა, ბეჟან ბუცხრიკიძე – 27,92%.

ჭიათურის 56-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, სულხან მახათაძე 34,35%, თავისუფალი დემოკრატები, თეიმურაზ გაფრინდაშვილი – 19,11%.

ლანჩხუთის მე-60 ოლქში – „ქართული ოცნება“, ნინო წილოსანი – 47,06%, დამოუკიდებელი კანდიდატი აკაკი ჩხაიძე – 27,43%.

ფოთის 61-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ირაკლი ხახუბია – 47,86, ნაციონალური მოძრაობა, ბექა ბასილაია – 26%;

აბაშის 63-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ირაკლი ბერაია – 45,64%, ნაციონალური მოძრაობა, კობა ნაყოფია – 30,66%.

სენაკის 64-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ირაკლი ბერაია – 39,24%, ნაციონალური მოძრაობა, მამუკა ჭოხონელიძე – 31,17%.

ზუგდიდის 65-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, მერაბ ქვარაია – 39,09%, ნაციონალური მოძრაობა, ლევან კონჯარია – 31,21%.

წალენჯიხა-ჩხოროწყუს 67-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, გოგა გულორდავა – 43,26%; ნაციონალური მოძრაობა, ლევან ქარდავა – 32,87%;

ბათუმის 68-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ფატი ხალვაში – 41,2%; ნაციონალური მოძრაობა, მირდატ ქამადაძე – 32,81%.

ბათუმის 69-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ლევან ბეჟანიძე – 39,15%; ნაციონალური მოძრაობა, გიორგი კირთაძე – 27,63%.

ბათუმის 70-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, მუხრან ვახტანგაძე – 42,08%, ნაციონალური მოძრაობა, თეიმურაზ დუმბაძე 28,69%.

ქობულეთის 71-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, კობა ნაკაიძე – 40,46%, ნაციონალური მოძრაობა, ჯანსულ ჯინჭარაძე – 24,35%.

ხელვაჩაურის 72-ე ოლქში – „ქართული ოცნება“, ილია ნაკაშიძე – 42,5%; ნაციონალური მოძრაობა, მიშა ბოლქვაძე – 28,9%.

◆ ◆ ◆

თავიდან ნაციონალები მეორე ტურში მონაწილეობას არ აპირებდნენ, ახლა დათანხმდნენ და არამეოცნებე ამომრჩეველს ემუდარებიან, ქართული დემოკრატიის გადარჩენის ხათრით ჩვენ მოგვეცით ხმაო.

# ტკბილი გაზირებული სასმელები ბაზარზე ლიდერია

## 2015 წელს მთლიან გაყიდვებში მისი წილი 49,5% იყო

ალბათ, ბევრს ახსოვს ერთ დროს მავანთა მიერ გამოთქმული აზრი, საქართველო თავის რჩენას ბორჯომითა და ჩაით შეძლებსო. მართალია, საბოლოო ჯამში, არც ჩაი აღმოჩნდა მაინცდამაინც პერსპექტიული და არც ბორჯომი – საკმარისი ქვეყნის სარჩენად, მაგრამ უალკოჰოლო სასმელები საქართველოში ყოველთვის იყო ბიზნესის ერთ-ერთი წარმატებული სფერო.

ტრადიციული გაზიანი ლიმონათების შემდეგ ბაზარზე თანდათან შემოვიდა ცნობილი მსოფლიო ბრენდები, გამრავალფეროვნდა ქართული უალკოჰოლო სასმელები და საქართველოს ბაზარიც ამ მიმართულებით თანდათან გაიზარდა.

ბოლო მონაცემებით, საქართველოში უალკოჰოლო სასმელების ბაზარი ინარჩუნებს დადებით ტრენდს და 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით, გაიზარდა 10%-ით, რასაც ადასტურებს მარკეტინგული კვლევების სააგენტო გამა იმ საცალო ვაჭრობის აუდიტის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც 2007 წლიდან ტარდება 8 ქალაქში.

2015 წლის უალკოჰოლო სასმელების კატეგორიის შიდაგადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

მთლიან გაყიდვებში, 49,5%-იანი წილით, ტკბილი გაზირებული სასმელები ლიდერობს, 25,5% გაზირებულ მინერალურ წყლებზე მოდის,



წყაროს წყლების წილი 15,5%-ია, ცივი ჩაის წილი, რომლის გაყიდვების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, 2%-ია, ნატურალური წვენებისა და ნექტარების – 5,5%, სხვა – 2%.

ერთი სული მოსახლე 2014 წლის განმავლობაში საშუალოდ 77,5 ლიტრ უალკოჰოლო სასმელს მოიხმარდა, 2015 წელს მოხმარების მაჩვენებელი 85,5 ლიტრამდე გაიზარდა.

◆ ◆ ◆

მაჩვენებლების ზრდა განპირობებულია წყაროს წყლებისა და ცივი ჩაის გაზრდილი მოხმარებით.

2015 წელს გაზირებული სასმელების ბაზარზე 49%-იანი წილით ლიდერობდა კომპანია კოკა-კოლა, მას მოსდევენ ნატახტარი – 17%, პეპსიკო – 12%, ქართული ლუდის კომპანია ზედაზენი – 12%, კასტელ საქართველო – 4%, სხვა დანარჩენი – 6%.

უალკოჰოლო სასმელების ბაზარი 2016 წელსაც დადებითად ვითარდება.

◆ ◆ ◆

განსხვავებული სიტუაციაა ექსპორტის მიმართულებით. წლებია, ექსპორტში ქართულ ღვინოსა თუ მინერალურ წყლებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, ბოლო დროს კი სასმელების ჩამონათვალში ქართული ლიმონათიც აქტიურად ფიგურირებს.

ქართულ საექსპორტო პროდუქციას შორის ლიმონათი საინტერესო მიმართულებაა. სტატისტიკური მონაცემებით, 2015 წლამდე სასმელების ექსპორტი სტაბილურად მზარდი იყო, გასულ წელს კი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში 2013 წელს მინერალური წყლებისა და ტკბილი გაზიანი სასმელების ექსპორტისგან დაახლოებით 17 მილიონი დოლარი შემოვიდა. 2014-ში აღნიშნული მონაცემი 28 მილიონი დოლარი იყო, 2015-ში კი მონაცემი მკვეთრად შემცირდა და 18 მილიონ დოლარს გაუტოლდა.

რადიო თავისუფლება


გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ლარის ვარდნას თიბისისა და ბანკ რესპუბლიკის გარიგებამაც შეუწყო ხელი?

## რას ფიქრობენ ექსპერტები



ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს.

პროცესი არ წყდება, მიუხედავად იმისა, რომ 12 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

ლარის კურსის ცვლილებას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ბოლო ხანებში განხორციელებული მსხვილი ტრანზაქციებით ხსნის.

— ამჟამად არის რამდენიმე მსხვილი ტრანზაქცია, რომელმაც შესაძლებელია, გაცვლითი კურსის დროებითი ჭარბი ცვლილებები გამოიწვიოს, — განაცხადა კობა გვენეტაძემ ფორბს ბანკერთან ინტერვიუში.

◆ ◆ ◆

შექმნილ სიტუაციას ეკონომისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ. როგორც ეროვნული ბანკის საბჭოს ყოფილმა წევრმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ თოქმაჯიშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას აღნიშნა, ლარის კურსის გაუფასურება რამდენიმე ფაქტორთან არის დაკავშირებული.

— მათ შორის გამოვყოფდი იმპორტის გააქტიურებას და უკვე გახმაურებულ მსხვილ გარიგებებს, რომლებსაც ტრანზაქციების უცხოურ ვალუტაში განხორციელება მოჰყვა. არ გამოვრიცხავ, რომ თიბისი ბანკის მიერ ბანკ რესპუბლიკის შესყიდვამაც ხელი შეუწყო ამ პროცესს, რადგან ვინც ეს ბანკი იყიდა, თანხას უცხოურ ვალუტაში მიიღებდა, — განაცხადა მიხეილ თოქმაჯიშვილმა.

მისი აზრით, დოლარზე მოთხოვნა დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე ყველა ის წყარო, რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლას უწყობს ხელს.

— ეროვნული ბანკი ერთგვარად არბილებს ლარის გაუფასურების პროცესს, 40 მილიონი ლარის შესყიდვაც ამით უნდა აიხსნას. ეს არის მცდელობა, რომ ლარი მკვეთრად არ გაუფასურდეს, — აღნიშნა მიხეილ თოქმაჯიშვილმა.

◆ ◆ ◆

ექსპერტი საბანკო საკითხებში, ეკონომიკის დოქტორი დავით ასლანიშვილი, ლარის გაუფასურებას მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას აბრალებს.

— კარგი იქნებოდა იმის დადგენა, რატომ გვაიმედებდნენ ეკონომიკის მინისტრი და მთავრობა, რომ ლარი გამყარდებოდა. გვიპასუხონ, რატომ შეიყვანეს მოსახლეობა კიდევ ერთხელ შეცდომაში?! მე ვფიქრობ, რომ დღეს სათავეში არსებული ეკონომიკური გუნდი ვერ ერევა იმ მწვავე ამოცანებს, რომელიც ჩვენ წინაშე დგას და ძალიან მეეჭვება, რომ ეს სუსტი ეკონომიკური გუნდი გაუმკლავდეს ამ გამოწვევებს, — აღნიშნა ექსპერტმა.

დავით ასლანიშვილის თქმით, ეროვნულმა ბანკმა, ჯამში, თითქმის 200 მილიონი დოლარი გაყიდა,

მაგრამ ლარის მასა ქვეყანაში მაინც იზრდება.

— ეს ირაკლი ღარიბაშვილის და გიორგი ქადაგიძის მიერ დაწყებული უაზრო, დამღუპველი პოლიტიკის გაგრძელებაა. საკითხავია, რატომ იქცევა კამიკაძესავით მთავრობა და ეროვნული ბანკი?! ეს არასწორი და გაუთვლელი პოლიტიკა ჩვენს ქვეყანას ძვირად დაუჯდება და მოსახლეობის უფრო მეტ გაღატაკებას გამოიწვევს, — განაცხადა ასლანიშვილმა.

ექსპერტის შეფასებით, მსხვილი ტრანზაქციები ლარის კურსზე ვერ იმოქმედებდა და ბანკ რესპუბლიკის გაყიდვა ან სხვა დიდი ტრანზაქციები აქ არაფერ შუაშია.

— ბანკ რესპუბლიკის გასხვისების ჯამური ტრანზაქცია მოიცავდა 500 მილიონ ლარს. ალბათ, თიბისი ბანკმა ეს თანხა მართლაც გადაუხადა სოსიეტე ჟენერალს და, ბუნებრივია, ეს ფული ქვეყნიდან კონვერტირებული სახით გაიტანეს, მაგრამ ეს საერთოდ არ არის კავშირში ლარის გაუფასურებასთან. ვერცერთი მსხვილი ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტას ამ დონემდე ვერ დაიყვანდა, — აცხადებს დავით ასლანიშვილი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# საჭიროა თუ არა საქართველოში მინიმალური ხელფასის გაზრდა

## საქართველოში მინიმალური ხელფასი 1997 წლიდან არსებობს — კერძო სექტორში 20 ლარი თვეში, საჯაროში — 135 ლარი

**2015 წლის იანვრიდან გერმანიაში მინიმალური ხელფასი დაწესდა. დამსაქმებლებს თანამშრომლებისთვის საათში 8.50 ევროზე ნაკლების გადახდის უფლება არა აქვთ.**

**ერთი შეხედვით, ეს ძალიან კარგი გადაწყვეტილებაა, თუმცა მას ყველა დადებითად არ აფასებს.**

ამ ცვლილების შედეგად გერმანიაში საშუალოდ 60 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგა ან არ შეიქმნა. გამოკითხული კომპანიების 20%-ში კი აცხადებენ, რომ მინიმალური ხელფასის დაწესება მათ ბიზნესზე უარყოფითად აისახა. დასაქმებულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, უფრო მაღალი ტემპით გაიზრდებოდა, რომ არა მინიმალური ხელფასის რეგულაცია.

მინიმალური ხელფასის შემოღება საქართველოშიც საკმაოდ აქტუალური თემაა, ამ თემაზე დამსაქმებლები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები კარგა ხანია დავობენ, მაგრამ ჯერჯერობით — უშედეგოდ.

მინიმალურ ხელფასზე საუბრისას საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტმა მიხეილ კორძახიამ აღნიშნა:

— ჩვენ მინიმალური ხელფასის შემოღების წინააღმდეგნი ვართ. შესაძლოა, გერმანიასა და ზოგიერთ ქვეყანაში ასე გადაწყვიტეს, მაგრამ მინიმალური ხელფასის დაწესებას ყოველთვის ახლავს ნეგატიური შედეგები: პირველ რიგში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ფერხდება, შესაძლებელია, დასაქმებამ ფარული ფორმა მიიღოს და არალეგალურ სფეროში გადავიდეს. იმისათვის, რომ მეწარმემ დაწესებული ხელფასი გადაუხადოს, შესაძლოა, სამუშაო ადგილებიც შეამციროს ან იძულებული გახდეს, თანამშრომლებს სამუშაო დრო შეუმციროს, რაც თავისთავად ამცირებს წარმოების მოცულობას.

კორძახიას თქმით, ამ რეგულაციის კონტროლსაც სოლიდური თანხა დასჭირდება.

— იდეა თავისთავად კარგია, მაგრამ ჩვენ შედეგებზე უნდა ვიმსჯელოთ და არა — იდეებზე, — განაცხადა მიხეილ კორძახიამ.

მისი აზრით, რაც უფრო მეტი რეგულაციაა ბაზარზე, მით ნაკლებია ბიზნესის მოქნილობა და ნაკლები — ეკონომიკური აქტივობა.

— რა ნიშნულზეც უნდა შეთანხმდნენ, ეს რეგულაცია ბიზნესისთვის მაინც შემაფერხებელი იქნება, ამიტომ დიდი დაკვირვებაა საჭირო. მოწინავე ქვეყნებთან შედარება არაფერს მოგვცემს. ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რა არის ჩვენი ეკონომიკისთვის ყველაზე ეფექტიანი და მისაღები, — აღნიშნა კორძახიამ.

◆ ◆ ◆

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია კი ფიქრობს, რომ უმჯობესია, მეწარმეებმა თავიანთი მოგება შეამცირონ და ცოტა თანამშრომლებზეც იზრუნონ.

გოჩა ალექსანდრია მინიმალური ხელფასის შემოღების აქტიური მომხრეა.

— ევროპის ქვეყნებში მინიმალური ხელფასი ყველგან მოქმედებს, მაგრამ ბიზნესი სიძნელეებს არ აწყდება. ჩემს გერმანელ ნაცნობებს არასოდეს დაუჩივლიათ იმის გამო, რომ მათ ქვეყანაში მინიმალური ხელფასი არსებობს, პირიქით, გერმანია დღეს ევროპაში ყველაზე წარმატებული ქვეყანაა, — განაცხადა ალექსანდრიამ.

ის ამბობს, რომ საქართველოში მინიმალური ხელფასი 1997 წლიდან არსებობს, მაგრამ ის სამარცხვინოდ მცირეა — კერძო სექტორში ეს არის 20 ლარი თვეში, ხოლო საჯარო სექტორში — 135 ლარი.

საქართველოში ოფიციალური საშუალო ხელფასი არის დაახლოებით 960 ლარი, სინამდვილეში კი ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს 50,



80, 120 ლარზე — ასეთი ხელფასები აქვთ ბიბლიოთეკებში, მუსიკალურ სკოლებსა და საავადმყოფოებში, კერძოდ, სანიტრებს.

— მოკლედ, ამ მხრივ სიტუაცია სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ჩვენ უნდა დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, როგორ ვუშველოთ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ, მაგრამ მაინც ღარიბები არიან, — აღნიშნა გოჩა ალექსანდრიამ.

მან ხარაგაულის, ზვარეს მაგალითი მოიყვანა, სადაც მუშები ჩინურ კომპანიას დაუპირისპირდნენ.

— იქ სრული მონობაა, მაგრამ მთავრობა თავის დაჩაგრულ მოქალაქეებს მხარს არ უჭერს და ვის რა უნდა მოვთხოვოთ? მართალია, ხელფასი 600-700 ლარი აქვთ, მაგრამ 24 საათის განმავლობაში მუშაობენ. ამ თანხას ნამუშევარ საათებზე თუ გავყოფთ, მაინც სასაცილო ხელფასი გამოსდით, მით უმეტეს, ეს ადამიანები იქ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას კარგავენ. ამიტომ არის საჭირო მინიმალური ხელფასის შემოღება, მისი მონიტორინგი კი მთავრობას ევალება, — განაცხადა ალექსანდრიამ.

◆ ◆ ◆

ამ საკითხის შეფასება თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელ ვახტანგ ჭარაიას ვთხოვეთ.

ვახტანგ ჭარაიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასი ჩვენთან 20 ლარია, რეალურად 20 ლარზე არავინ მუშაობს. საშუალო ხელფასი 960 ლარია, თუმცა ძალიან დიდია რაოდენობა იმ ხალხისა, ვინც 200, 250, ან 300 ლარზე მუშაობს.

— ამ ყველაფერს ბაზარზე არსებული სიტუაცია განსაზღვრავს და, როდესაც მინიმალურ ხელფასზე ვსაუბრობთ, დიდი სიფრთხილე გვმართებს: დავუშვათ, რომელიმე საწარმოს დავუწესეთ ზღვარი, რომ მინიმალური ხელფასი ამ საწარმოში 500 ლარი უნდა გახდეს. ამ დროს მეწარმეს დაქირავებული ჰყავს თანამშრომლები, რომლებსაც 250 ლარს უხდის და მას ხარჯები ორჯერ გაეზრდება.

შესაბამისად, ან პროდუქციის ფასი უნდა გაზარდოს, ან კონტინგენტი შეამციროს. ერთიც და მეორეც ბაზარზე და ზოგადად ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება. ძალიან ბევრი კომპანია იძულებული გახდება, თანამშრომლები შეამციროს. გამოდის, რომ ვიღაცას ხელფასი გაეზრდება, მაგრამ ამით უმუშევრობას წავახალისებთ, — აღნიშნა ვახტანგ ჭარაიამ.

მისი თქმით, თუ მინიმალური ხელფასი გონივრულ ზღვარზე იქნება, მაშინ ამ პრობლემებს აღარ გადავაწყდებით.

— თუ მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს გაუტოლდება, მაშინ არაფერი შეიცვლება, ხოლო თუ 500, ან 600 ლარს დავაწესებთ, გრძელვადიან პერიოდში ეს უარყოფით შედეგს უფრო მოგვცემს, ვიდრე დადებითს. ეს ინვესტორებსაც დააბრკოლებს, რადგან ისინი საქართველოში იაფი სამუშაო ძალისა და შრომის კოდექსის სიმარტივის გამო შემოდიან. თუ ამ ყველაფერს გავართულებთ, ინვესტორების რაოდენობაც შემცირდება. ამიტომ ვამბობ, რომ მინიმალური ხელფასის საკითხის გადაწყვეტისას დიდი სიფრთხილე გვმართებს, — დასძინა ვახტანგ ჭარაიამ.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# საწვავი 4-6 თეთრით გაძვირდა

საქართველოში 15 ოქტომბრიდან საწვავი გაძვირდა. ბენზინისა და დიზელის ფასმა თითქმის ყველა ბენზინგასამართ სადგურზე დაახლოებით 4-6 თეთრით მოიმატა.

საწვავის გაძვირებას ბიპიენთან საუბრისას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი ორი ძირითადი ფაქტორით ხსნის. ესენია ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების მატება და ლარის გაუფასურება.

— ოპეკის წევრი ქვეყნები ნავთობის მოპოვების შემცირებაზე შეთანხმდნენ, ამ შეთანხმებას, რომლის მიზანიც ნავთობის ფასის ზრდა იყო, ოპეკის არაწევრი მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიც, მაგალითად, რუსეთიც შეუერთდა. შედეგად მნიშვნელოვნად მოიმატა ნავთობპროდუქტების ფასმა საერთაშორისო ბაზარზე. ამას დაემატა, რომ ლარი გაუფასურდა და რადგან დღეს ორივე ეს ფაქტორი ნეიტრალურ დიაპაზონშია, საწვავის ფასის მატება გარდაუვალი იყო, — აღნიშნა მთვრალაშვილმა.




მისივე თქმით, ბრენდირებულმა გასამართმა სადგურებმა საწვავი ცოტა გვიან გააძვირეს, რადგან გარკვეული მარაგი ჰქონდათ. რაც შეეხება არაბრენდირებულ სადგურებს, იქ უკვე დაახლოებით 10 დღეა, რაც ფასებმა იმატა. ცვლილება ამ სადგურებზეც ძირითადად 3-დან 6 თეთრამდეა.

ბიპიენი დაინტერესდა, თუ როგორ შეიცვალა ფასები ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე.

სოკარისა და ლუკოილის ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასი არ შეცვლილა, ხოლო ვისოლის, რომპეტროლისა და გალფის სადგურებზე საწვავის ფასმა დაახლოებით 5-6 თეთრით მოიმატა.

**ბიპიენი**

# ზვიად ციკოლია სპორტულ თვითმფრინავს აწყობს

საქართველოში აწყობილი თვითმფრინავები მთელ მსოფლიოში გაიყიდება. პირველ ქართულ ერთადგილიან თვითმფრინავს სამრეწველო, სატრანსპორტო დიზაინერი ზვიად ციკოლია აგებს.

როგორც ციკოლია რადიო კომერსანტთან განმარტავს, სპორტული თვითმფრინავი კომპოზიტური მასალებით მზადდება.

მისი დასრულება უახლოეს მომავალშია დაგეგმილი, თუმცა დიზაინერი ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს, რადგან ამბობს, რომ თვითმფრინავის აწყობის პროცესში უამრავ სირთულეს აწყდებიან როგორც ფინანსური, ისე მასალების ჩამოტანის კუთხით.

მისივე თქმით, იგეგმება მცირესერიული წარმოება და მისი მთელ მსოფლიოში რეალიზაცია.

ზვიად ციკოლია ამბობს, რომ უკვე არიან თვითმფრინავის შეძენის მსურველები, რომლებიც პირველ გაფრენას ელოდებიან. ციკოლიას განცხადებითვე თვითმფრინავის გასაყიდი ფასი მას შემდეგ დადგინდება, როდესაც ის აეწყობა და მთლიანი ხარჯი დაჯამდება.



ზვიად ციკოლიას თვითმფრინავის აგების იდეა რამდენიმე წელია აქვს, თუმცა ფინანსების სიმცირის გამო პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა. პროექტის საწყისი კაპიტალი თიბისი ბანკმა გამოყო, შემდეგი ეტაპი კი საკუთარი ხარჯებით გაგრძელდა.

სპორტული თვითმფრინავი გამოსადეგი იქნება მოკლე მანძილებზე გადასაფრენად და საზღვრებზე პატრულირებისთვის. შესაძლებელია, მან სარეკლამო ფუნქციაც შეითავსოს და კომპანიის სარეკლამო ბანერები გაუკეთდეს.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# ტრანსგენდერს ორთაჭალაში ყელი გამოსჭრეს

## გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს

14 ოქტომბერს, გვიან ღამით, თბილისში, ორთაჭალაში, 32 წლის ტრანსგენდერზე თავდასხმა მოხდა.

დაჭრილი ტრანსგენდერი კლინიკაში რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. როგორც უფლებადამცველი გიორგი ტატიაშვილი აცხადებს, დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იგი სამედიცინო დაწესებულების რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც პირებს გენდერული იდენტობის გამო ასე უსწორდებიან და მძიმე ფიზიკურ მდგომარეობამდე მიჰყავთ. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ პრევენციული ღონისძიებების გატარებას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და ვითხოვთ შესაბამის რეაგირებას, – განაცხადა გიორგი ტატიაშვილმა.

დაჭრილი მოქალაქის ახლობლები ამბობენ, რომ ტრანსგენდერს თავს ორი პირი სწორედ მისი იდენტობის გამო დაესხა – დანით ყელი გამოსჭრეს, სახეზე დაზიანებები კი ბლაგვი საგნით მიაყენეს.

დაშავებულის ახლობლის ინფორმაციით, თავდასხმა ორთაჭალაში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა და სათვალთვალო კამერით არის გადაღებული.

* * *

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ორთაჭალაში მოქალაქის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე პირველადი გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. ამოღებულია დანაშაულის იარაღი.

ამის შესახებ პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა განაცხადა.

– ფაქტზე გამოძიება შსს-მ დაიწყო, რომელსაც საპროცესო ზედამხედველობას უწევს პროკურატურა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, ამოღებულია დანაშაულის იარაღი, დანა, რომელიც გადაიგზავნა ექსპერტიზაზე. ასევე მიმდინარეობს ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერების დათვალიერება. გამოძიების შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას, – განაცხადა ნათია სუხიაშვილმა.

შსს-ში აცხადებენ, რომ გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს.

* * *

სახალხო დამცველი პროკურატურას მოუწოდებს, ტრანსგენდერის მიმართ ძალადობის ფაქტზე საგამოძიებო პროცესი სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიმართულებით წარმართოს.

სახალხო დამცველი განცხადებას ავრცელებს და პროკურატურას მოუწოდებს, ყოვლისმომცველი, სრული და ობიექტური გამოძიება ჩაატაროს,



– სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიება სახალხო დამცველისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, გამოძიების პროცესში არ ხდება სავარაუდო სიძულვილის მოტივზე მსჯელობა ან/და ბუნდოვანი რჩება, თუ რა სახის საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა ასეთი მოტივის გამოვლენის მიზნით, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მსგავსი სახის დანაშაულებზე ჭეშმარიტების დადგენა და მათ შორის დანაშაულის რეალური მოტივის იდენტიფიცირება არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების, არამედ მომავალში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების თავიდან აცილების მიზნით არის აუცილებელი.

– საზოგადოებაში გავრცელებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური განწყობის ფონზე არსებობს მსგავსი დანაშაულების განმეორების საფრთხე, მით უმეტეს, რომ საგამოძიებო ორგანოები დისკრიმინაციულ მოტივზე ძირითადად ყურადღებას არ ამახვილებენ, – აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

– ვერ ვხვდებით, ხომ, რატომაა ამ თემაზე პოლიტიკური მანიპულაციები დამღუპველი? – კითხულობს ბლოგერი გიორგი კიკონიშვილი და თბილისში ტრანსგენდერ ქალზე მომხდარ თავდასხმას შემდეგი პოსტით ეხმაურება:

– ყველა იმ პოლიტიკოსისა და საჯარო პირის სახელზეა ეს ამბავი, ვინც წლების განმავლობაში მიზანმიმართულად აღვივებს ჰომოფობიას და იყენებს ამ თემას პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. საკონსტიტუციო ჩანაწერი მოვამზადეთ უკვე? ვერ ვხვდებით, ხომ, რატომაა ამ თემაზე პოლიტიკური მანიპულაციები დამღუპველი? დამღუპველი – პირდაპირი მნიშვნელობით.

* * *

ახალი პოლიტიკური ცენტრი, გირჩი, ტრანსგენდერ ქალზე მომხდარ თავდასხმას ეხმაურება და აცხადებს, რომ თუ ამჯერადაც მოძალადეები არ დაისჯებიან კანონის სრული ძალით, ამით სახელმწიფო მხოლოდ ერთ გზავნილს გაუშვებს ყველა პოტენციურ მოძალადესთან – ტრანსგენდერ ადამიანებზე ძალადობა შეიძლება.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტრანსგენდერ ქალს განსაკუთრებული, არაადამიანური სისასტიკით უსწორდებიან და სახეზე გვაქვს სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის ყველა ნიშანი. საზოგადოების ვალდებულებაა, გავერთიანდეთ იმ ადამიანების უფლებების დასაცავად, რომელთა უფლებების დაცვაც სახელმწიფოს არ მიაჩნია პრიორიტეტულად. სამართალდამცავი სტრუქტურები უნდა მუშაობდნენ ისე, რომ ადამიანის გენდერული იდენტობა არ იყოს მისი ტრაგედიის მიზეზი. ჩვენი ვალდებულებაა, დავდგეთ იმათ გვერდზე, ვინც მარტოა და ამის გამო ადვილი სამიზნეა, – აცხადებს გირჩი.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი ასევე არ გამორიცხავს, რომ ტრანსგენდერ ქალზე თავდასხმა, შესაძლოა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ნიადაგზე იყოს ჩადენილი.

იურისტი და „თანასწორობა 17-ის" ხელმძღვანელი ნინო ბოლქვაძეც ამბობს, რომ ორთაჭალაში ტრანსგენდერ ქალზე თავდასხმა, სავარაუდოდ, სიძულვილით იყო მოტივირებული.

# შსს-მ ბუქარესტის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა



თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთიდან საქართველოში შემოსვლისას ბუქარესტის ინტერპოლის მიერ 2016 წლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1968 წელს დაბადებული ვ. ა. დააკავეს.

ვ. ა.-ს ბრალად ედება რუმინეთის საბაჟო კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლებით, ასევე, რუმინეთის სისხლის სამართლის კოდექსის 289-ე და 290-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც კრიმინალური ორგანიზაციის ან საზოგადოების წევრობას, საქონლის კონტრაბანდას, საქონლის წარდგენისას ყალბი დოკუმენტების გამოყენებას, საქონლის გაყალბებას, ფულის გათეთრებასა და კერძო წერილობითი ფორმით არსებული ხელშეკრულების გაყალბებას გულისხმობს.

დაკავებულის მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები.

# ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ დედას სასამართლომ 10.000-ლარიანი გირაო შეუფარდა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ დედას აღკვეთის ღონისძიების სახით 10 ათასი ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა.

ბრალდებულმა თანხა 30 დღის ვადაში უნდა დაფაროს.

საზარელი ფაქტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიაში გასულ კვირას მოხდა. მეზობლების ინფორმაციით, საკუთარმა დედამ ახალშობილი ტუალეტში ჩააგდო.

– ქალს ქმარი რამდენიმე წლის წინ გარდაეცვალა, როგორც ირკვევა, ორსულად იყო, სახლში იმშობიარა და ბავშვი ტუალეტში ჩააგდო, – აცხადებს ახალგაზრდა ქალის მეზობელი.

ახალგაზრდა ქალი იმავე დღეს დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დედის მიერ ახალშობილის მკვლელობას გულისხმობს და სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# გამოძალვისა და ძარცვის ბრალდებით თურქეთის 2 მოქალაქე დააკავეს

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები, 1990 წელს დაბადებული ე.ი. და 1985 წელს დაბადებული ქ.ქ. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის, ძარცვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცების ბრალდებით ბათუმში დააკავეს.



გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ბათუმში მდებარე სასტუმროსა და კლუბში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მომხმარებლებისგან შეუსაბამოდ დიდი თანხა მოითხოვეს, უარის მიღების შემდეგ კი ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით თურქეთის მოქალაქეებისგან 18.000 ლარისა და 1.500 ლარის გამოძალვას შეეცადნენ. მათ დაზარალებულებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მობილური ტელეფონები და ფულადი თანხა ჩამოართვეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად გამოძალვის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძარცვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და მე-3 ნაწილის „ა", „დ" ქვეპუნქტებით, ასევე, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

# რუსთავის სასამართლოდან გაქცეული მსჯავრდებული რესტორანში დააკავეს



შსს-ს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა რუსთავის საქალაქო სასამართლოდან გაქცეული მსჯავრდებული 1980 წელს დაბადებული ო.ვ. და წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული ლ.ე. თბილისის ერთ-ერთ რესტორანში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, დადგინდა, რომ ძებნილი მსჯავრდებული ო.ვ. რუსთავის მე-16 პენიტენციარულ დაწესებულებაში სასჯელს ქურდობის, ყაჩაღობისა და ქურდობის მცდელობის ბრალდებით (საქართველოს სსკ-ს 177-ე, 179-ე და 19-177-ე მუხლებით) იხდიდა. იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სასამართლოში ბადრაგირების დროს გაიქცა. მსჯავრდებულ ო.ვ.-ზე ძებნა 2016 წლის 1 სექტემბერს გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა ოვ.-სა და ლ.ე.-ს დაკავებისას ოქროს ძეწკვები, ჯვრები, საყურეები და ბეჭდები ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ძვირფასეულობა დაკავებულებმა თბილისში მდებარე ერთ-ერთ ოქროულობის მაღაზიაში განხორციელებული ჯგუფური შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმის დროს გაიტაცეს.

ძებნილ მსჯავრდებულ ო.ვ.-ს ბრალი საქართველოს სსკ-ს 379-ე მუხლითა და 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის წარედგინა, რაც დაკავების ადგილიდან, პენიტენციარული დაწესებულებიდან, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებიდან ან მოთავსების სხვა ადგილიდან, გაყვანისას /გადაყვანისას ან ექსტრადიციისას ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გაქცევას და სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

დაკავებულ ლ.ე.-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული ედება ბრალად, რაც სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

# თბილისში 50 წლის მამაკაცი მოკლეს

თბილისში, ღრმაღელის ქუჩაზე, 15 ოქტომბერს, გვიან ღამით, 50 წლის მამაკაცი მოკლეს. მკვლელობა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით არის ჩადენილი.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ლორა როზენბერგი: „ჰილარი კლინტონი პუტინს საკადრის პასუხს გასცემს“



ლორა როზენბერგი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონის მრჩეველია საგარეო პოლიტიკაში.

„ამერიკის ხმისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის, ამიტომ აუცილებელია ლიდერი, რომელიც მას სწორედ ამ ენაზე დაელაპარაკება.

– პუტინს მხოლოდ ძალის ენა ესმის. ჰილარი კლინტონიც მას საკადრის პასუხს გასცემს, – განაცხადა როზენბერგმა.

## მერკელი: „რუსეთის წინააღმდეგ სანქციები უნდა გაფართოვდეს“



გერმანიის კანცლერმა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უნდა გაფართოვდეს. მიზეზია ომი სირიაში, ალეპოს ბომბარდირება და უკრაინის წინააღმდეგ აგრესიაა.

მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაფართოების საკითხს ევროკავშირი 20-21 ოქტომბერს განიხილავს.

ამასობაში აშშ-ის ვიცეპრემიერმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკაზე კიბერშეტევებს განაგრძობს, რასაც აშშ არ შეეგუება.

– რუსეთის ქმედება დაუსჯელი არ დარჩება, ჩვენ საპასუხო შეტევებს განვახორციელებთ, – თქვა ბაიდენმა.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პესკოვმა განაცხადა, რომ ბაიდენის სიტყვები რუსეთისთვის შეურაცხმყოფელია.

– ამერიკა მუქარაზე გადმოდის. ამას საკადრის პასუხს გავცემთ, – აცხადებს პესკოვი.

## ტრამპი პრესას სასამართლოში უჩივლებს



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ ნამდვილი საინფორმაციო ომი მიმდინარეობს.

ტრამპის აზრით, მთელი პრესა კლინტონების მიერაა მოსყიდული. მილიარდერმა განსაკუთრებით გამოყო „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „უოლ სთრით ჯორნელი“.

– მათ სასამართლოში ვუჩივლებ, – იმუქრება ტრამპი.

## ერევანი: პუტინს გენერალური მდივნობა არ გამოუვიდა



სომხეთის დედაქალაქში დსთ-ის კოლექტიური თავდაცვის სისტემაში (ოდკბ) შემავალი ქვეყნების სამიტი შედგა.

მას დაესწრნენ რუსეთის, ბელარუსის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის პირველი პირები. ყაზახეთს პრეზიდენტ ნაზარბაევის ნაცვლად პრემიერ-მინისტრი წარმოადგენდა. მან ნაზარბაევის არყოფნა მისი ავადმყოფობით ახსნა.

– პუტინს სურდა, ოდკბ-ს გენერალური მდივნის პოსტი შემოეღო და ის თავად დაეკავებინა. ყაზახეთის პრეზიდენტის დემარშიც ამან გამოიწვია, – თვლის ტელეკომპანია „დოჟდი“.

სამიტის დაწყებამდე ოდკბ-ში შემავალი ქვეყნების ლიდერებმა დახურულ კარს მიღმა თათბირი გამართეს.

პუტინის არგუმენტმა, ნატო გვიახლოვდება და ოდკბ-ს გენერალური მდივნის პოსტი უნდა შემოვიღოთო, არ გაჭრა. ალექსანდრე ლუკაშენკო დაუფარავი ირონიით შეეკითხა:

– ამ პოსტს, რა თქმა უნდა, თქვენ დაიკავებთ. ხომ ასეა?

თავად სამიტზე ოდკბ-ს წევრი ქვეყნები შეეცადნენ, მათ რიგებში არსებული უთანხმოება არ წარმოეჩინათ. პუტინი უყოყმანოდ დათანხმდა იმას, რომ ოდკბ-ს გენერალური მდივნის პოსტს არ შემოიღებდნენ, ოდკბ-ში შემავალმა სხვა წევრებმა კი უყოყმანოდ მოაწერეს ხელი ყველა დოკუმენტს, რომლებიც რუსეთმა შესთავაზა.

სომხეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტებმა უკრაინაში ბანდერელთა გააქტიურებასთან დაკავშირებით თავიანთი აღშფოთებაც დააფიქსირეს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ჭყლეტა რელიგიურ ფესტივალზე

ინდოეთის ქალაქ ვერანასში რელიგიური ფესტივალი გაიმართა. ხიდზე გამართული ცერემონიის დროს მოხდა ჭყლეტა.



ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, ამისი მიზეზი ფესტივალის ორგანიზატორთა უპასუხისმგებლობაა. ისინი აცხადებდნენ, რომ ფესტივალს 3.000 ადამიანი დაესწრებოდა. სინამდვილეში იქ 70.000-მა მოიყარა თავი.

ჭყლეტისას 19 ადამიანი დაიღუპა.

## რუსებმა ჩრდილოეთ კორეის ხომალდს ესროლეს



რუსმა მესაზღვრეებმა ესროლეს ჩრდილოეთ კორეის მესაზღვრეთა ხომალდს, რომელიც რუსეთის ტერიტორიულ წყლებში შევიდა და უკანონო თევზჭერას ახორციელებდა.

კორეელები აგრესიულად იქცეოდნენ, რუსებმაც მათ ცეცხლი გაუხსნეს.

შედეგად ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი მძიმედ დაიჭრა და დაიღუპა. სხვები რუსებმა დააკავეს.

## თურქეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა 3 პოლიციელი მოკლა

თურქეთის პროვინცია გაზიანტეპში თვითმკვლელი ტერორისტის მიერ თავის აფეთქებას 3 თურქი პოლიციელი ემსხვერპლა, 8 ადამიანი კი დაიჭრა.

ამის შესახებ თურქულ მედიას პროვინციის გუბერნატორმა ალი ერლიქაიამ განუცხადა.

– გაზიანტეპში დიდი ხანია, ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების წინააღმდეგ ოპერაცია მიმდინარეობს. დღეს მივიღეთ ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში პოლიცია სპეცოპერაციას ატარებს, რომლის დროსაც თვითმკვლელმა თავი აიფეთქა. თავის აფეთქებას მეორე ტერორისტიც აპირებდა, მაგრამ ვერ შეძლო. შედეგად 3 პოლიციელი დაიღუპა, 8 მოქალაქე, მათ შორის 4 სირიელი, დაიჭრა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს, – განაცხადა გუბერნატორმა.

მისივე ინფორმაციით, ქალაქში დანარჩენი ტერორისტების გასანეიტრალებლად სპეცოპერაცია ჩატარდა.

## ისლამურმა სახელმწიფომ სამხედრო მეთაურები სიკვდილით დასაჯა

ტერორისტულმა დაჯგუფება ისლამურმა სახელმწიფომ გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილი სამხედრო მეთაურები ერაყის ქალაქ მოსულში სიკვდილით დასაჯა.



ექსტრემისტებმა დაეშის 54 სამხედრო მაღალჩინოსანი დასაჯეს. ზოგიერთი მათგანი ორგანიზაციაში მაღალ თანამდებობას იკავებდა.

ერთ-ერთის ტელეფონის მეხსიერების ბარათზე შეტყობინება აღმოაჩინეს, რომელშიც ჯიჰადისტების შეიარაღებაზე იყო საუბარი.

ამავდროულად, ერაყის შეიარაღებული ძალები მოსულზე თავდასხმას გეგმავენ. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქალაქში ათასობით საინფორმაციო წერილი ჩამოყარეს და მოსახლეობა მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციის შესახებ გააფრთხილეს.

## გაერო სტიქიით დაზარალებულებს დაეხმარება

გაეროს გენერალურმა მდივანმა ქარიშხალ „მეთიუსგან“ დაზარალებული ჰაიტი მოინახულა.

მან შეშფოთება გამოთქვა სტიქიის მიერ გამოწვეული ზარალისა და ჰუმანიტარული დახმარების სიმცირის გამო.

ქალაქ ლე-კაიეს მოსახლეობასთან შეხვედრისას პან გი მუნმა განაცხადა, რომ გაერო ყველა რესურსის მობილიზებას მოახდენს, რათა სტიქიით დაზარალებულებს დაეხმაროს.

ქარიშხალი „მეთიუ“ ჰაიტის ოქტომბრის დასაწყისში დაატყდა თავს. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, სტიქიას 900 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ათობით ათასი კი უსახლკაროდ დარჩა. მილიონზე მეტი ადამიანი ჰუმანიტარულ დახმარებას საჭიროებს.

ქარიშხალი „მეთიუ“ კარიბის ზღვის აუზში ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი აღმოჩნდა. ქარის სიჩქარე, ხშირ შემთხვევაში, 230 კმ/სთ-ს აღწევდა. ხელისუფლების წარმომადგენლები შიშობენ, რომ ჰაიტიზე, შესაძლოა, ქოლერა გავრცელდეს.

ქოლერის ერთ-ერთი უძლიერესი ტალღა 2010 წლის მიწისძვრის შემდეგ გავრცელდა.

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვანკომპანიასესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

**მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.**
**კონსულტაცია უფასოა!**
**☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).**
**მისამართი: აღმაშენებლის 154.**
**„მწვანე ოფისი“.**

# თბილისის დინამომ 9 ფეხბურთელით მოიგო

გაიმართა საქართველოს გარდამავალი ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩები, რომლებიც ძალიან საინტერესო გამოდგა.

### თეთრი ჯგუფი

**გურია-დინამო (თბ) 0:2**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

0:1 დვალიშვილი (49), 0:2 ჭელიძე (72)

**გურია:** იმერლიშვილი, ჭეიშვილი, ნოზაძე, ჩადუნელი, ჭეჭელაშვილი (სტეფნიაშვილი 55), მოროზენკო, კირკიტაძე, მეგრელიშვილი, ჭედია, დინიზი (ოლივეირა 50), მურაშოვი

**დინამო:** რევიშვილი, ჭელიძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, რენე, ცინცაძე, პარუნაშვილი (თევზაძე 88), ჯიღაური, კიტეიშვილი (ველევი 46), პაპუნაშვილი, დვალიშვილი (მიქელთაძე 67)

**გაძევება:** რენე (45), პაპუნაშვილი (45), ჭედია (45)

მატჩი ძლიერი წვიმის ფონზე გაიმართა. გურიამ ჩემპიონს უმასპინძლა და თავიდანვე შეეცადა გოლის გატანას – დენიზმა მაკრატელა დაარტყა, რომელიც ოდნავ ასცდა სტუმართა კარს. რამდენიმე წუთში დინამოელებსაც ჰქონდათ სახიფათო შეტევა, ჯაბა ჯიღაურის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ბოლო წამს მიასწრო ლუკა ნოზაძემ და განმუხტა სიტუაცია. მომდევნო შეტევაში უკვე ჯიღაურის ჩახვეული დარტყმა ასცდა გურიის კარს.

თანდათან სტუმართა ტერიტორიული უპირატესობაც გამოიკვეთა, მაგრამ 24-ე წუთზე გურიამ კონტრშეტევაზე ითამაშა ზუსტად, გიორგი ჭედიას დარტყმული კი ხელებში მიუვიდა ნუკრი რევიშვილს, რომელსაც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის რიგებში დებიუტი ჰქონდა. ცოტა ხანში რევიშვილმა დავით მეგრელიშვილის დარტყმული რთული საჯარიმოც მოიგერია. თავის გამოჩენა რატი იმერლიშვილმაც მოახერხა, როცა მათე ცინცაძის საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

ტაიმის ბოლოს ჯერ რევიშვილმა ითამაშა მოწოდების სიმაღლეზე, შემდეგ კი მთავარმა არბიტრმა დინამოელები – რენე სანტოსი და გიორგი პაპუნაშვილი ერთმანეთში ჩხუბისთვის გააძევა მოედნიდან. გასახდელში რა მოხდა, ვერ გეტყვით, მაგრამ მათ გზას გიორგი ჭედიაც გაუდგა.

თბილისელებს წინ ურთულესი მეორე ტაიმი ელოდათ, მაგრამ მოხდა პირიქით – 49-ე წუთზე ვლადიმერ დვალიშვილმა გახსნა ანგარიში, 72-ე წუთზე კი, ზაზა ჭელიძემ მეორედ აიღო ლანჩხუთელთა კარი.

გურულები ბევრს უტევდნენ, თუმცა რეალური საგოლე მომენტი მასპინძლებმა ვერ შექმნეს, სამაგიეროდ, დინამოელებმა პროდუქტიულად გამოიყენეს ოთხი საგოლე სიტუაციიდან ორი და 3 ქულით დაბრუნდნენ შინ.

**ტორპედო-ლოკომოტივი 3:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0,2:0 მამასახლისი (15პ, 34პ), 3:0 გეთიაშვილი (62სკ)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, დოლიძე (კვერნაძე 77), მამასახლისი, ფალავანდიშვილი, ტუღუში (ბენაშვილი 83), ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 67), კაპანაძე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, ჩიტეიშვილი (სამურკასოვი 38), ჭანტურია, გეთიაშვილი, კლიმიაშვილი, კუხიანიძე, დიასამიძე (გავაშელიშვილი 56), ცხადაძე, ზარანდია (ჩაგელიშვილი 70), უბილავა

90 წუთი ტორპედოს უპირატესობით წარიმართა და უფრო დიდი ანგარიში რომ არ დაფიქსირდა, ეს მათი ბრალიც არის. ტორპედოელებმა იგრძნეს, რომ საქმეები არცთუ კარგად ჰქონდათ და საოცრად მობილიზებულად ჩაატარეს მათთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. ლოკომოტივთან მოპოვებულმა სამმა ქულამ ქუთაისელებს თეთრ ჯგუფში ბოლოდან მე-4 ადგილზე გადანაცვლების შესაძლებლობა მისცა.

მასპინძლები მთელი თამაშის გააზრებული მოქმედებებით მეტოქეს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ. ანგარში მე-14 წუთზე გაიხსნა: რკინიგზელთა მცველი ნიკა ჭანტურია იძულებული შეიქნა საკუთარ საჯარიმოში აკრძალული ილეთი გამოეყენებინა ოლეგ მამასახლისის შესაჩერებლად და არბიტრმაც პენალტი დანიშნა – 11 მეტრიდან თავად მამასახლისმა დაჰკრა ზუსტად.

მოხდა ისე, რომ მასპინძლებმა, მე-2 გოლიც 11-მეტრიანიდან მიითვალეს. ბექა ტუღუშის შესანიშნავი პასის შემდეგ გიორგი ქიმაძე შეიჭრა სახიფათოდ მეტოქის საჯარიმოში და ისიც მცველის დახმარებით წაიქცა. მამასახლისმა ამჯერადაც ზუსტად დაარტყა – 2:0.

ტორპედოელებს პირველ ტაიმში პენალტების გარეშეც მართებდათ გატანა, მაგრამ გუგა ფალავანდიშვილისა და ქიმაძის (ორჯერ) სახიფათოდ დარტყმულები მიზანს აცდა.



რევაზ თევდორაძის კართან საგოლე მომენტების ნაკლებობა არც შესვენების შემდეგ იგრძნობოდა. 50-ე წუთზე ფალავანდიშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა მისი დარტყმული ძელს მოხვდა. ამის შემდეგ რკინიგზელებმა ზედიზედ ორჯერ ძლივს დაიცვეს თავი ქიმაძის სახიფათო გარღვევებისგან, თუმცა მესამე შემთხვევაში აღარ გაუმართლათ და ქიმაძის მიერ მარცხნიდან კარის გასწვრივ დარტყმული ბურთი გიორგი გეთიაშვილმა ბადეში ჩაჭრა.

გატანა თორნიკე კაპანაძესაც შეეძლო, მაგრამ პირველ შემთხვევაში მისი დარტყმული თევდორაძემ მოიგერია, მეორედ კი ტორპედოელთა შემტევი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ ოდნავ შეყოვნდა იერიშისას და შანსიც დაიკარგა.

**ჩიხურა-შუქურა 1:1**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1 შალამბერიძე (38), 1:1 დობროვოლსკი (68)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, რეხვიაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, განუგრავა (გვალია 70), დობროვოლსკი, ლექვთაძე (გორგიაშვილი 70), კორიფაძე, ლობჟანიძე, ტატანაშვილი, სარდალიშვილი (გაბედავა 83)

**შუქურა:** ჯიოევი, ადამაძე, ჯაფარიძე, მირცხულავა, ჩაჩუა, არზიანი, გურული (ომანიძე 80), შალამბერიძე (მალანია 73), კომახიძე, ჯეფინიო, მამულაშვილი

ზედიზედ ორი მოგებული მატჩის შემდეგ ფრედ ითამაშა საჩხერის ჩიხურამ. იმერლებმა ივანწმინდაში ქობულეთის შუქურას უმასპინძლეს და 1:1 ითამაშეს.

ანგარიში 38-ე წუთზე ქობულეთელებმა გახსნეს, დაცვის შეცდომით კობა შალამბერიძემ ისარგებლა და პრაქტიკულად ცარიელ კარში გადაგზავნა ბურთი. საჩხერელებმა წონასწორობის აღდგენა 68-ე წუთზე შეძლეს, მეტოქის კარი დენის დობროვოლსკიმ აიღო. დარჩენილ დროში ორივე კართან რამდენიმე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და გუნდებმა თითო ქულა გაინაწილეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 3 | 4 | 1 | 11-5 | 13 |
| 3.ლოკომოტივი | 7 | 3 | 2 | 2 | 7-8 | 11 |
| 4.ტორპედო | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 5.გურია | 8 | 2 | 2 | 4 | 6-11 | 8 |
| 6.ცხინვალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| 7.შუქურა | 8 | 1 | 4 | 3 | 6-10 | 7 |

### წითელი ჯგუფი

**დინამო (ბთ)-კოლხეთი 0:1**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

0:1 კორობკა (53)

**დინამო:** ტიმოფეევი, კვირკველია (გორელიშვილი 76), მგელაძე, სუხიაშვილი, გეგეჭკორი (ფონიავა 46), ტვილდიანი, შონია, თარხნიშვილი, ქავთარაძე, კვანტალიანი, მარიანოვიჩი (ლობჯანიძე 61)

**კოლხეთი:** თებიძე, რამალდანოვი, კილასონია, ქებურია, ბოლქვაძე, გოგონაია, ოზარკივი, კერძევაძე, ჟიშკარიანი (კაკულია 71), ჯღამაია (ლუკავა 90), კორობკა (ჩაკვეტაძე 82)

ჯგუფის ცენტრალურ მატჩს ქობულეთის „ჩელე არენამ" უმასპინძლა. შავიზღვისპირა დერბიში ერთმანეთს ბათუმის დინამო და ფოთის კოლხეთი დაუპირისპირდნენ. მატჩს სატურნირო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მოლოდინისამებრ საკმაოდ დაძაბული გამოდგა.

თამაშის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ფოთელთა გამარჯვების ბურთი 53-ე წუთზე უკრაინელმა ლეგიონერმა ვლადიმირ კორობკამ გაიტანა. ამ გამარჯვებით გელა სანაიას გუნდმა 15 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ბათუმელები კი, 13 ქულით მესამეზე დაქვეითდნენ.

**სიონი-სამტრედია 0:3**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 რაჟამაშვილი (35), 0:2 ზივზივაძე (69), 0:3 არაბული (80)

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე (გიორბელიძე 46), სვანიძე, ვასილიევი (უგულავა 68), კასრაძე, ჯანელიძე, ვასაძე, გაფრინდაშვილი, სიხარულიძე, სუშკინი (ვოლკოვი 60), კობახიძე

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, სანდოხაძე, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი (მთივლიშვილი 85), გამყრელიძე (ჯიქია 65), მანჯგალაძე (ცნობილაძე 88), არაბული, ზივზივაძე

წაუგებელ სერიას განაგრძობს სამტრედია. ამჯერად იმერლები ბოლნისს ესტუმრნენ და ადგილობრივი სიონი 3:0 დაამარცხეს.

სამტრედიელთა მხრიდან გოლები რაჟამაშვილმა, ზივზივაძემ და არაბულმა გაიტანეს. მიმდინარე სეზონში ეს გია ცეცაძის გუნდის მეხუთე გამარჯვებაა და ისინი წითელ ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობენ. ბოლნისელები კი წარუმატებელ სვლას აგრძელებენ და 5 ქულით მე-6 ადგილზე არიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 8 | 5 | 3 | 0 | 16-6 | 18 |
| 2.კოლხეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 7-8 | 15 |
| 3.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 4 | 1 | 12-4 | 13 |
| 4.საბურთალო | 7 | 2 | 3 | 2 | 7-7 | 9 |
| 5.დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 10-9 | 9 |
| 6.სიონი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-15 | 5 |
| 7.ზუგდიდი | 7 | 1 | 0 | 6 | 3-14 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

### 15 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ლესტერი ............ 3:0
არსენალი-სუონსი ............ 3:2
ბორნმუთი-ჰალი ............ 6:1
სიტი-ევერტონი ............ 1:1
სტოკი-სანდერლენდი ............ 2:0
ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი ............ 1:1
კრ.პალასი-ვესტ ჰემი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-8 | 19 |
| 2.არსენალი | 8 | 6 | 1 | 1 | 19-9 | 19 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-4 | 18 |
| 4.ლივერპული | 7 | 5 | 1 | 1 | 18-10 | 16 |
| 5.ჩელსი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| 6.ევერტონი | 8 | 4 | 3 | 1 | 12-6 | 15 |
| 7.მანჩესტერი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-8 | 13 |
| 8.კრ.პალასი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 11 |
| 9.ბორნმუთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-12 | 11 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 4 | 2 | 9-8 | 10 |
| 11.საუთჰემპტონი | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 9 |
| 12.უოტფორდი | 7 | 2 | 2 | 3 | 12-13 | 8 |
| 13.ლესტერი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 14.ბარნლი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-17 | 7 |
| 16.ჰალი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-20 | 7 |
| 17.მიდლსბრო | 7 | 1 | 3 | 3 | 7-10 | 6 |
| 18.სტოკი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-16 | 6 |
| 19.სუონსი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-15 | 4 |
| 20.სანდერლენდი | 8 | 0 | 2 | 6 | 6-15 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ფულემი ............ 2:4
ბლექბერნი-იფსვიჩი ............ 0:0
ბრაიტონი-პრესტონი ............ 2:2
დერბი-ლიდსი ............ 1:0
ნიუკასლი-ბრენტფორდი ............ 3:1
ნორვიჩი-როტერჰემი ............ 3:1
უიგანი-ბარტონი ............ 0:0
ქპრ-რედინგი ............ 1:1
ასტონ ვილა-ვულვზი ............ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-სევილია ............ 2:3
ბარსელონა-დეპორტივო ............ 4:0
ატლეტიკო-გრანადა ............ 7:1
ბეტისი-რეალი ............ 1:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 8 | 5 | 3 | 0 | 21-3 | 18 |
| 2.რეალი | 8 | 5 | 3 | 0 | 22-8 | 18 |
| 3.სევილია | 8 | 5 | 2 | 1 | 16-12 | 17 |
| 4.ბარსელონა | 8 | 5 | 1 | 2 | 26-10 | 16 |
| 5.ვილიარეალი | 7 | 3 | 4 | 0 | 9-4 | 13 |
| 6.ლას პალმასი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-13 | 12 |
| 7.ბილბაო | 7 | 4 | 0 | 3 | 10-8 | 12 |
| 8.ეიბარი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 9.სოსიედადი | 7 | 3 | 1 | 3 | 9-9 | 10 |
| 10.სელტა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-11 | 10 |
| 11.ლეგანესი | 8 | 3 | 1 | 4 | 9-13 | 10 |
| 12.ალავესი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| 13.მალაგა | 7 | 2 | 2 | 3 | 7-9 | 8 |
| 14.დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| 15.ბეტისი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-18 | 8 |
| 16.ესპანიოლი | 8 | 1 | 4 | 3 | 9-14 | 7 |
| 17.ხიხონი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-16 | 7 |
| 18.ვალენსია | 7 | 2 | 0 | 5 | 9-14 | 6 |
| 19.ოსასუნა | 7 | 0 | 3 | 4 | 7-15 | 3 |
| 20.გრანადა | 8 | 0 | 2 | 6 | 8-23 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლუგო-ხეტაფე ............ 0:1
ალკორკონი-ალმერია ............ 0:0
უესკა-მირანდესი ............ 3:0
ხირონა-ოვიედო ............ 0:0
ლევანტე-მალიორკა ............ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ჰამბურგი ............ 0:0
კიოლნი-ინგოლშტადტი ............ 2:1
აუგსბურგი-შალკე ............ 1:1
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი ............ 2:1
აინტრახტი-ბაიერნი ............ 2:2
ვერდერი-ლევერკუზენი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 7 | 5 | 2 | 0 | 18-4 | 17 |
| 2.კიოლნი | 7 | 4 | 3 | 0 | 12-4 | 15 |
| 3.ჰერტა | 7 | 4 | 2 | 1 | 12-8 | 14 |
| 4.დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 17-7 | 13 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 7 | 3 | 4 | 0 | 13-10 | 13 |
| 6.ლაიპციგი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-5 | 12 |
| 7.აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| 8.გლადბახი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-10 | 11 |
| 9.ლევერკუზენი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-9 | 10 |
| 10.ფრაიბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 8-11 | 9 |
| 11.მაინცი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-11 | 8 |
| 12.აუგსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-9 | 8 |
| 13.ვერდერი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-18 | 7 |
| 14.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 15.დარმშტადტი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-12 | 5 |
| 16.შალკე | 7 | 1 | 1 | 5 | 7-11 | 4 |
| 17.ჰამბურგი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-12 | 2 |
| 18.ინგოლშტადტი | 7 | 0 | 1 | 6 | 4-14 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ჰაიდენჰაიმი ............ 0:2
დინამო-შტუტგარტი ............ 5:0

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-რომა ............ 1:3
პესკარა-სამპდორია ............ 1:1
იუვენტუსი-უდინეზე ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-5 | 21 |
| 2.რომა | 8 | 5 | 1 | 2 | 19-10 | 16 |
| 3.ნაპოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 4.ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 13-7 | 13 |
| 5.კიევო | 7 | 4 | 1 | 2 | 9-6 | 13 |
| 6.მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-10 | 13 |
| 7.ჯენოა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 8.ტორინო | 7 | 3 | 2 | 2 | 13-8 | 11 |
| 9.ინტერი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-8 | 11 |
| 10.კალიარი | 7 | 3 | 1 | 3 | 11-13 | 10 |
| 11.ბოლონია | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 12.ატალანტა | 7 | 3 | 0 | 4 | 10-12 | 9 |
| 13.სასუოლო | 7 | 3 | 0 | 4 | 9-12 | 9 |
| 14.ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 15.სამპდორია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 16.პესკარა | 8 | 1 | 4 | 3 | 8-11 | 7 |
| 17.უდინეზე | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 18.პალერმო | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 19.ემპოლი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-11 | 4 |
| 20.კროტონე | 7 | 0 | 1 | 6 | 5-16 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ვერონა ............ 1:4
აველინო-სპეცია ............ 1:0
ბრეშა-სალერნიტანა ............ 1:1
კარპი-ლატინა ............ 2:0
პერუჯა-ჩიტადელა ............ 2:0
პიზა-ვიჩენცა ............ 0:1
ენტელა-ბენევენტო ............ 3:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანსი-პსჟ ............ 1:2
ლორიანი-ნანტი ............ 1:2
მონპელიე-კაენი ............ 3:2
ბასტია-ანჟე ............ 1:2
გენგამი-ლილი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 9 | 7 | 2 | 0 | 16-5 | 23 |
| 2.პსჟ | 9 | 6 | 1 | 2 | 19-7 | 19 |
| 3.მონაკო | 9 | 6 | 1 | 2 | 23-12 | 19 |
| 4.ტულუზა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-7 | 17 |
| 5.გენგამი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-8 | 14 |
| 6.ლიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 15-11 | 13 |
| 7.ბორდო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-10 | 13 |
| 8.ანჟე | 9 | 4 | 1 | 4 | 10-10 | 13 |
| 9.რენი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 10.მეცი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-15 | 13 |
| 11.სტ.ეტიენი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| 12.ნანტი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-9 | 11 |
| 13.ბასტია | 9 | 3 | 1 | 5 | 7-8 | 10 |
| 14.მონპელიე | 9 | 2 | 4 | 3 | 12-17 | 10 |
| 15.კაენი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-17 | 10 |
| 16.მარსელი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-10 | 9 |
| 17.დიჟონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| 18.ლილი | 9 | 2 | 1 | 6 | 8-15 | 7 |
| 19.ლორიანი | 9 | 2 | 0 | 7 | 6-15 | 6 |
| 20.ნანსი | 9 | 1 | 2 | 6 | 4-12 | 5 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-სტრასბური ............ 2:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ალკმაარი-ვიტესი ............ 2:2
გრონინგენი-ჰერენვენი ............ 0:3
პსვ-ჰერაკლესი ............ 1:1
სპარტა-ტილბურგი ............ 2:2
უტრეხტი-იგლზი ............ 3:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ლოკომოტივი ............ 0:0
რუბინი-კრილია ............ 3:0
სპარტაკი-როსტოვი ............ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-როსი ............ 4:0
პარტიკი-ჰამილტონი ............ 2:2
სელტიკი-მოზერველი ............ 2:0
სტ.ჯონსონი-კილმანროკი ............ 0:1
ჰართსი-დანდი ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ლოზანა ............ 1:0
ბაზელი-ლუცერნი ............ 3:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ............ 2:2
ადმირა-სტ.პოლენი ............ 1:1
რაპიდი-ალტახი ............ 1:1
შტურმი-რიდი ............ 1:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

კორტრაიკი-სტანდარდი ............ 3:3
ბევერენი-ეუპენი ............ 4:2
სტ.ტრუიდენი-ვესტერლო ............ 2:2
მუსკრონი-გენკი ............ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-კერკირა ............ 4:0
ასტერასი-პლატანიასი ............ 2:0
პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი ............ 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-გაზიანთები ............ 0:0
ქაისერი-ბეშიქთაში ............ 0:1
ადანა-ქარაბუქი ............ 1:2
გენჩლერი-გალათასარაი ............ 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ჰრადეც კრალოვე-სლავია ............ 0:3
კარვინა-პრჟიბრჟამი ............ 2:0
დუკლა-ლიბერეცი ............ 0:0
ტეპლიცე-ზლინი ............ 2:0
იაბლონეცი-ბრნო ............ 1:2
სლოვაცკო-პლზენი ............ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-არკა ............ 0:0
პიასტი-ხოჟუვი ............ 2:1
ზაგლებიე-ლეხია ............ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-ვოლინი ............ 2:0
ოლიმპიკი-შახტარი ............ 1:1
ჩერნომორეცი-დინამო ............ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-სილკებორგი ............ 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ფალკენბერგი-სუნდსვალდი ............ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-ბოდო გლიმტი ............ 1:0
სარპსბორგი-რუსენბორგი ............ 2:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სპორტი

# დინამო საკალათბურთო სუპერთასის მფლობელია



**ქუთაისი-დინამო 71:83**
**(26:24, 15:21, 13:22, 17:16)**

საქართველოს სუპერთასის მფლობელი დინამო გახდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა კოტე ტუღუშის ქუთაისს 83:71 სძლიეს.

ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასის გათამაშებამ ფორმატი, უფრო სწორად კი გამართვის დრო შეიცვალა და თუკი აქამდე სეზონის ბოლოს ბოლოს თამაშდებოდა, ამიერიდან დასაწყისში გაიმართება. გასული, 2015-16 წლების სეზონის ჩემპიონი ქუთაისი და თასის მფლობელი დინამო სუპერთასისთვის ერთმანეთს სუპერლიგის დაწყებამდე შეხვდნენ და ამით სუპერთასის სეზონის დასაწყისში გათამაშებას დაედება ტრადიცია.

დინამოელებმა ქუთაისი მიმდინარე სეზონში უკვე დაამარცხეს. რამდენიმე დღის წინ დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ხოშტარიას გუნდმა იმერლები 12 ქულით – 75:63 დაამარცხა. ზუსტად ასეთი სხვაობით იმარჯვეს დინამოელებმა ამჯერადაც – 83:71 და ლეგენდარული კალათბურთელის, ოთარ ქორქიას სახელობის თასს დაეპატრონნენ.

თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ თამაში მეორეშიც თანაბრად წარიმართა, თუმცა ტაიმის მიწურულს დინამოელებმა გუნდური თამაშის წყალობით უპირატესობა მოიპოვეს და ეს ანგარიშშიც ასახეს.

დიდი შესვენებისთვის დინამო 46:41 იგებდა და მოედანზე დაბრუნებული კიდევ უფრო დამაჯერებლად ათამაშდა. თბილისელთა ახალწვეულმა, ნიკოლა მარავიჩმა ფარქვეშეთი დაპყრო, ხოლო პერიმეტრიდან მეორე ლეგიონერი – დეონტა ვონი აქტიურობდა და 22:13 მოგებული მესამე პერიოდის შემდეგ დინამოელები 14 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო პერიოდში ვითარება აღარ შეცვლილა. ქუთაისელებიც ცდა, ვითარება გამოესწორებინათ, სურვილად დარჩა და დინამომ მიმდინარე სეზონში უკვე მეორე ტიტული მოიგო.

გამარჯვებულებს 20 ქულით ნიკოლა მარავიჩმა ულიდერა. 16 ქულით, 7 მოხსნითა და 4 პასით გამოირჩა დეონტა ვონი, ხოლო ილია ლონდარიძემ 12 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. დინამოში დებიუტი ჰქონდა ლევან ფაცაციას, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – 11 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

ქუთაისელებს არ ეყოთ ეროვნული ნაკრების ძირითადი გამთამაშებლის, გიორგი ცინცაძის 28 ქულა და 11 პასი.

გამარჯვებული გუნდის მთავარი მწვრთნელი ირაკლი ხოშტარია საპატიო სიგელით კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ დააჯილდოვა. მანვე გადასცა დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს ოთარ ქორქიას სახელობის სუპერთასი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


**წვერსაპარსი PHILIPS**
**70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158



**30 ლარად 55 ლარის**
**უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...
ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
რეჟიმი: 2
ტემპერატურა: 45-55°; დაცულია გადახურებისგან


კალეიდოსკოპი



## ემილია კლარკმა ლოს-ანჯელესში სახლი იყიდა

„სამეფო თამაშების" ვარსკვლავმა ემილია კლარკმა 4,6 მილიონ დოლარად ახალი სახლი იყიდა ლოს-ანჯელესში.

აპარტამენტები ბენისში მდებარეობს. საცხოვრებლის საერთო ფართი დაახლოებით 260 კვადრატული მეტრია. სახლში ორი საძინებელი, სამი სააბაზანო ოთახი, ღია სამზარეულო, ასევე დიდი გასაწევი კარი და მაღალი წიგნების კარადებია.

მთავარ საძინებელში ერთ-ერთი კედელი ფანჯარას წარმოადგენს, რომელიც აუზსა და ბაღში გადის. ტერიტორიაზე ასევეა პატიოც.



## შარლიზ ტერონის ახალი ვიდეორგოლი პოპულარობას იხვეჭს

ჰოლივუდის მსახიობ შარილზ ტერონის ახალმა ვიდეორგოლმა, რომელიც კრისტიან დიორისთვისაა, ერთ დღე-ღამეში 3,5 მილიონ ნახვაზე მეტი მოაგროვა. ვიდეო იუთუბიში მოდის სახლის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ტერონი უკვე 12 წელზე მეტია, არომატ ჯ,ედორის სახეა. „ოსკარის" ლაურეატის მონაწილეობით სარეკლამო რგოლი ჟან-ბატისტ მონდინომ გადაიღო.

აღნიშნულ რგოლში მსახიობს ასიმეტრიული ოქროსფერი კაბა აცვია. ის წყალზე მიდის და ამბობს: „წყალი, მიწა, მზე და მე – ყველანი ოქროსი ვართ".

## კომიქსების გმირი გაეროს საპატიო ელჩი გახდა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საპატიო ელჩად ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში დაინიშნება კომიქსების გმირი ქალი-საოცრება. ამ ინფორმაციას მსოფლიო ორგანიზაციის საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტი ავრცელებს.



საზეიმო ცერემონია 21 ოქტომბერს გაეროს შტაბბინაში ნიუ იორკში გაიმართება. აღნიშნული ღონისძიება კომიქსის გამოსვლის 75 წლისთავს მიეძღვნება.

– კომიქსის პერსონაჟის ელჩად დანიშვნის ოფიციალურ განცხადებას ორგანიზაციის გენერალური მდივანი გააკეთებს. ცერემონიას დაესწრება ენთერთაინთმენთის პრეზიდენტი დაიან ნელსონი და „მოულოდნელი სტუმრები", – განაცხადეს ორგანიზაციაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი შესაძლოა იყვნენ ის მსახიობები, რომლებმაც სხვადასხვა წელს ქალი-საოცრების როლი შეასრულეს ფილმებში.

კომიქსი ქალ-საოცრებაზე პირველად 1941 წელს გამოჩნდა. ის ფლობს დიდ ძალას და სისწრაფეს. იყენებს ჭეშმარიტების ქამანდს, რომელიც ისტორიის პერსონაჟებს აიძულებს, სიმართლე ილაპარაკონ.



## ბოტასები ფილმიდან „უკან მომავალში" აუქციონზე გაიყიდა

ჰონგ კონგში გამართულ აუქციონზე ნაიკის ფირმის თვითშეკვრადი ერთი წყვილი ბოტასი ფილმიდან „უკან მომავალში" 104 ათას დოლარად გაიყიდა. მყიდველის ვინაობა უცნობია.

ალსანიშნავია, რომ მიღებული თანხის ნაწილი გადაირიცხა სპეციალურ ფონდში, რომელიც პარკინსონის დაავადების კვლევითი სამუშაოებითაა დაკავებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი
## 17 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – თუ პარტნიორებმა ახალი საქმე შემოგთავაზეს, მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი გაურკვეველი იქნება. **კურო** – ნუ აჩქარდებით. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ყველა არასაჭირო კავშირისაგან გათავისუფლდით. ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. **კირჩხიბი** – დაძაბული და წინააღმდეგობრივი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება, რაც პარტნიორთან ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. **ლომი** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. დაკავდით სპორტით. **ქალწული** – დათრგუნავთ შიშსა და ეჭვებს. შესაძლოა, საქმიანი და თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ. **სასწორი** – პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას მიაღწევთ. ამაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭიც დაგეხმარებათ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით მეტისმეტად კატეგორიული. წინდაუხედაობის გამო შესაძლოა დიდი პრობლემები შეგექმნათ. **მშვილდოსანი** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მერწყული** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს. **თევზები** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## განცხადება

2016 წლის 11 დეკემბერს, 12 საათზე, ქ.ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ.ოსიაურში მდებარე შპს „ელისი 2015"-ის კუთვნილი ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. ხაშური, სოფ.ოსიაური, შპს „ელისი 2015"-ის კომპანიის ოფისში, ტელ: 558-10-22-50;

ქ.გორი, გორკის ქ. №159. „BS Group"-ის ოფისში, ტელ: 599-70-80-55.

საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი – დავით მაყაშვილი, ტელ: 599-70-80-55.

*ადმინისტრაცია*

# სკანვორდი



1. ბგერის გრაფიკული ნიშანი; 2. „ევგენი ..."; 3. საერთო-სახალხო კენჭისყრა; 4. სვე რთველში; 5. სამშენებლო მასალა; 6. სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 7. ... საზერლენდი; 8. ერთგვარი სისტემის პისტოლეტი; 9. ბილიარდის ჯოხი; 10. დიდი შეჯიბრება გარკვეული ტიპის ნავებით; 11. ქირურგიული დანა; 12. მელანი ...; 13. წილი ბიზნესში; 14. ჭადრაკის ფიგურა; 15. ცომის ასაფხეკი რკინის ნიჩაბი; 16. დიდი ზომის მაიმუნი; 17. ქალბატონი (ფრანგულად); 18. რაიმე ნიშნით გამორჩეული ადგილი; 19. მარჯნის კუნძული; 20. სიმებიანი ხემიანი საკრავი; 21. თავბრუ; 22. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი; 23. სახოტბო ლექსი; 24. იუპიტერის თანამგზავრი; 25. ზოლი ხალიჩის გარშემო, არშია; 26. კლოუნის ნომერი ცირკში; 27. მცოხნელი, ძუძუმწოვარი ცხოველი; 28. ნიგვზითა და თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 29. წუხილის გამომხატველი შორისდებული; 30. წკეპლა (კუთხ.); 31. ეპოქა, ხანა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვაქცინა; 2. ბალატონი; 3. ბაჩანა; 4. გერბი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 12. კენი; 13. რამაიანა; 14. ორძელი; 16. ლოსიონი; 18. ლაციო; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. ნაფტუსია; 7. აგასფერი; 8. მაღარო; 9. დიუმა; 10. დოლომანი; 11. ვისკონტი; 15. კარაბინერი; 17. პიკოლო; 19. ლენქორანი; 21. დარნიცა; 22. იაკიტორია; 23. როკფორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტოშიბა; 2. სინა; 3. სვინგი; 4. კამორა; 6. ბოქაული; 9. თეთრი; 11. ტერტერა; 15. სინგაპური; 16. კაბურა; 17. ხიზილალა; 19. ილუმენი; 21. იომიური; 22. შუამთა.

**თარაზულად:** 5. მოკასინი; 7. ოკულარი; 8. ამქარი; 10. მექსიკა; 12. რურუა; 13. სტეპი; 14. ბორისპოლი; 18. ფეტვი; 20. შაკირა; 23. ბურახი; 24. მომა; 25. პირელი; 26. თორი; 27. პროჟექტი.

# სკანდალი: არქიტექტურული პრემიის გამარჯვებულები დაჯილდოებაზე არ გამოცხადდნენ

არქიტექტურის მე-5 საერთაშორისო ფესტივალი არქიტექტურული პრემია 2016 ექსცესებით წარიმართა. რამდენიმე გამარჯვებული და ნომინანტი დაჯილდოების ცერემონიალზე არ გამოცხადდა.

თბილისის მერ დავით ნარმანიას გამარჯვებულისთვის პრიზი უნდა გადაეცა, მაგრამ ის არ გამოცხადდა. დაჯილდოების ცერემონიალზე არ მივიდნენ სხვა გამარჯვებულებიც.

მეხუთე, საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიალი სასტუმრო „რედისონში" გაიმართა.

საერთაშორისო კონკურსზე 107-მა არქიტექტორმა და დიზაინერმა 108 საკონკურსო ნამუშევარი წარადგინა. მათგან საერთაშორისო ჟიურიმ თითოეულ ნომინაციაში სამი საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა. ნომინაციებში გამარჯვებულები კი არქიტექტურული პრემია 2016-ით დაჯილდოვდნენ.



დაჯილდოების ცერემონიალზე პირველივე ნომინაციაში – „საზოგადოებრივი ნაგებობა" – დასახელებული სამი ნომინანტი არ გამოცხადდა. მათგან საუკეთესო თბილისის მერ დავით ნარმანიას უნდა გამოევლინა, რისთვისაც ის სცენაზე მიიწვიეს.

– ვინ გამოვავლინო, არ ვიცი, მაგრამ მოგესალმებით. აქ ვიღაცამ აღნიშნა, რომ, შესაძლოა, ისინი საცობების გამო ვერ მოვიდნენ. საცობებსაც მე მაბრალებენ, – განმარტა თბილისის მერმა.

დაჯილდოების ცერემონიალზე არ იმყოფებოდნენ დავით აღმაშენებლის გამზირის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებიც – გიორგი გოგოლაშვილი, გია აბულაძე და გიორგი გოცირიძე. მათთვის განკუთვნილი პრიზი საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის დამფუძნებელმა და ფესტივალის ორგანიზატორმა დიმიტრი მოსულიშვილმა თბილისის მერს გადასცა.

მოსულიშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროექტის განხორციელებაში თბილისის მერიას დიდი წვლილი მიუძღვის. როგორც დავით ნარმანიამ განმარტა, აღმაშენებლის გამზირზე სამუშაოები 47 მისამართზე ხორციელდებოდა, საიდანაც 38 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

– გამარჯვებულ ავტორებს პრემიის ჩემგან წაღება ცოტა ძვირი დაუჯდებათ, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

არქიტექტურული პრემია 2016 არქიტექტორებსა და დიზაინერებს სხვადასხვა ნომინაციაში მიენიჭათ. სპეციალური პრიზით ქალაქგეგმარებითი არქიტექტურის, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის, მწვანე არქიტექტურის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან კომპლექსის, ასევე ინტერიერის დიზაინის სფეროში განხორციელებული თუ განსახორციელებელი საუკეთესო პროექტების ავტორები დაჯილდოვდნენ.

## მაკა ჩიჩუა „ნიჭიერის" ჟიურიში იქნება

სახალხო პროექტი „ნიჭიერი" მეშვიდედ აიღებს სტარტს. დიდ საკონცერტო დარბაზში ჩაწერები უკვე დაწყებულია და პროექტისთვის შერჩეული „ნიჭიერები" საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თბილისში იკრიბებიან.



„ნიჭიერის" ახალი სეზონი ეთერში 21 ნოემბრიდან გავა, მანამდე კი ყოველ შაბათ-კვირას პროექტის ჩაწერაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლება.

შოუს წამყვანები ისევ ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე იქნებიან. რაც შეეხება ჟიურის წევრებს, მის შემადგენლობაში ცვლილებაა. უცვლელი მხოლოდ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია დარჩა. ია ფარულავა, ნანუკა ჟორჟოლიანი და ლევან წულაძე მსახიობმა რუსკა მაყაშვილმა, ჟურნალისტმა ზაალ უდუმაშვილმა და პირველმა ლედიმ მაკა ჩიჩუამ შეცვალეს.

ვინ გახდება წელს „ნიჭიერის" რიგით მეშვიდე სეზონის გამარჯვებული, ამას მაყურებელი ხმის მიცემით გადაწყვეტს.

## გიორგი უშიკიშვილი ფილარმონიაში არ შეუშვეს

ანსამბლ „ლაშარის" ხელმძღვანელი და მომღერალი გიორგი უშიკიშვილი ფილარმონიაში არ შეუშვეს.



ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ფილარმონიაში, ეზოში რომ არ გიშვებენ და თან დაცვა „გეკაჩავება", პოლკოვნიკი ვარ და მინდა, შეგიშვებ, მინდა, არაო, ანუ თუ მინდა, გიჯიგრებ და თუ მინდა, არაო, ეს რას ნიშნავს? ძალიან ვწუხვარ, რომ დარბაზში, სადაც პირველად 30 წლის წინ გამოვედი, დღეს „კაჩაობა" მიწევს შესვლაზე და ფილარმონიის დაცვას კულტურა არ ჰყოფნის, ზრდილობიანად დაგელაპარაკოს. სამწუხაროა.

## ერეკლე გეწაძე ბიჭის მამა გახდა



მსახიობი ერეკლე გეწაძე ბიჭი მამა გახდა. მუსიკისა და დრამის და კინომსახიობთა თეატრების მსახიობი ფართო საზოგადოებამ მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორიდან" გაიცნო, სადაც ის რუსკა მაყაშვილთან ერთად შოუს წამყვანი იყო.

ზურა გეწაძისა და ნანუკა ლითანიშვილის უფროს შვილს პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარს, ამიტომ ეს ინფორმაცია მამამისმა ზურა გეწაძემ გაავრცელა.

– დაიბადა სანდრო გეწაძე და გავხდი ბაბუა!

ერეკლე გეწაძის პირად ცხოვრებაზე ჟურნალისტებისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მისი მეუღლე მარიამ ბოლქვაძეა და ის პროფესიით ხელოვნებათმცოდნეა.

ერეკლესა და მარიამს პირველი შვილი 14 ოქტომბერს, მცხეთობის დღესასწაულზე შეეძინათ. ახალბედა მშობლებმა მას სანდრო დაარქვეს.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლები და ბებია-ბაბუები უამრავ მილოცვასა და საუკეთესო სურვილებს იღებენ.

## გვანცა დარასელია დედა მეორედ გახდება



მოდელი გვანცა დარასელია დედა მეორედ გახდება. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის „სხვა შუადღის" ერთ-ერთი წამყვანი მეორე შვილს ელოდება.

სიახლე ტელეწამყვანმა ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობისას გაამჟღავნა.

მოდელ გვანცა დარასელიასა და პოლიტიკოს ვახო მჭედლიძეს ერთი ბიჭი, ერეკლე ჰყავთ.

**გვანცა დარასელია:**

– ჩემთვის მთავარი იყო ერეკლეს დამოკიდებულება. გვიან გაიგო და იმდენად გაუხარდა, რომ მე ჩემი სიხარული და მოლოდინი გვერდზე გადავდე. ძალიან ელოდება. ეს არის ჩემი ამომავალი წერტილი ამ შემთხვევაში. მინდა, რომ მისთვისაც ძალიან კომფორტული იყოს ახალი სიცოცხლე ჩვენს ოჯახში და, იმედი მაქვს, ასეც იქნება.

## გელა დაიაური: „პირიქითა ხევსურეთს ელემენტარულ სიკეთეს ნუ მოვაკლებთ"

პოეტი გელა დაიაური შატილის ელექტროენერგიის გარეშე დატოვებას აპროტესტებს და ხელისუფლებას მოუწოდებს, დროულად მოაგვაროს არსებული პრობლემა, რათა პირიქითა ხევსურეთს ელემენტარული სიკეთე არ მოაკლდეს.



**გელა დაიაური:**

– შატილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი და კიდევ კარგა ხანი ვერ მიეშველებიან თურმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ჰაერი გადაუკეტო.

კარგია თბილისობა, მცხეთობა და აუცილებელი, მაგრამ ამ ფონზე სულ არ მაქვს სადღესასწაულო განწყობა. იქნება ჯობდეს, ხელისუფალნო, დიდი რესურსები გამოვნახოთ და უცბად მოვაგვაროთ ეს პრობლემა. ელემენტარულ სიკეთეს ნუ მოვაკლებთ პირიქითა ხევსურეთს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### ესტონელი საკუთარ თავზე გათხოვდა



ესტონელი ქალბატონი საკუთარ თავს გაჰყვა ცოლად. საქორწინო ცერემონიაზე მას 21 ადამიანი ჰყავდა დაპატიჟებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კრისტალ რა ლაკსმი საკუთარ თავს მოგზაურად მიიჩნევს და ეზოტერიკით არის დაინტერესებული.

– მე შინაგანი ქალი კრისტალი და შინაგანი მამაკაცი რა დავაქორწინე, – განაცხადა ესტონელმა ქალბატონმა.

აღსანიშნავია, რომ ის ასევე ნამდვილ მამაკაცზე დაქორწინებასაც გეგმავს და საკუთარ თავზე დაქორწინებას ამ მოვლენისთვის მოსამზადებელი ეტაპი უწოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლაკსმის ქორწილი წმინდა სიმბოლური ხასიათის იყო.

### უიღბლო მძარცველი მაღაზიის ტყვე აღმოჩნდა

ტაილანდში მძარცველმა სამკაულების მოპარვის შემდეგ საიუველირო მაღაზიიდან გაქცევა ვერ მოახერხა.




სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული და ის ერთ დღე-ღამეში 28 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

უცნობმა მამაკაცმა მას შემდეგ, რაც სამკაულები მოიპარა, მაღაზიიდან გასვლა ვეღარ შეძლო, ვინაიდან კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა, ამასობაში კი გამყიდველმა გოგონამ, რომელიც მანამდე კონსულტაციას უწევდა მამაკაცს და რომელმაც თავი მყიდველად გაასაღა, მძარცველს პისტოლეტი დაუმიზნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მეგობრები: გურამ გუნავა, ანზორ კუპატაძე, ამირან მექვაბიშვილი მწუხარებით იუწყებიან ასოციაცია „მესხეთის" გამგეობის წევრ ვაჟა ბერიძის ძმის, დამსახურებული ფინანსისტის, ღირსების ორდენის კავალერის

**ონისე ბერიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ოთხშაბათი
17 ოქტომბერი

06.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00, 17.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" 08.00 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**ბოროტების ქსელი**" (ტ.ჰენკსი) 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 15.00, 23.00 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად 00.00 მხ/ფ "**მარწყვის მდელო**" (ი.ბერგმანი) 01.30 მხ/ფ "**ახალგაზრდა ამერიკელები**"

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 09.00 დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" 10.00 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" 12.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 15.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, ჯ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.15 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 8-9 სერ. 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ღია ეთერი–თოქ შოუ 23.30 მხ/ფ "**გრინსთრითელი ხულიგნები 2**" 01.30 მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" 03.00 მხ/ფ "**მსროლელი**" 05.00 მხ/ფ "**ფუთი თენგი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 ქ.მხ/ფ "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" 23.30 მხ/ფ "**12 ლოუნდს**" 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 1.25 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 ცოლები და ქმრები 17.30 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 მხ/ფ "**შურისძიება**" 3.25 ჯიდიპედია

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-ბოროტებას მხოლოდ დანაკარგი მიჰყვება 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ჩვენი ეზო**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "ურთხმელი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.50 კონცერტი 16.55 სპექტაკლი "**მამაშვილობაში**" 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მიზანი**" 1 ნაწ. 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.30 პატერიკი-სიხარბის მხილება უფლისგან 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 საქართველოს სამართლის ისტორია 22.15 ქრისტიანული სწავლება 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-იეზეკიელი 1 ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 01.00 დ/ფ "გოგი ცაბაძე" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05, 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05, 13.00 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35, 2.00 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 23.10 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**17 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3537 |
| ევრო | 2.5942 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.8670 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7183 |

## ამინდის პროგნოზი 17 ოქტომბრისთვის





# 19 ოქტომბრიდან

## ტიმურ ვერმესი

# ის კვლავ აქ არის

„ის კვლავ აქ არის“ სატირულ-იუმორისტული რომანია, რომელიც ადოლფ ჰიტლერის თანამედროვე გერმანიაში გამოღვიძებას აღწერს.

დროში გადანაცვლებული ფიურერის თვალით დანახული დღევანდელი გერმანიისა და ევროპის რეალობა ერთდროულად სასაცილოცაა და დამაფიქრებელიც.

უნგრული წარმოშობის გერმანელი პოლიტოლოგის ტიმურ ვერმესის ამ რომანმა გამოსვლისთანავე დაიმსახურა მკითხველთა ინტერესი და მსოფლიოს 41 ენაზე მილიონობით ეგზემპლარი გაიყიდა.




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


## იუმორი



•••

ოსი სიცრუის დეტექტორით უნდა დაკითხონ და დაკითხვის წინ უხსნიან:

– დაგისვამთ კითხვას, თქვენ გვიპასუხებთ. თუ სიმართლეს იტყვით, მწვანე ნათურა აინთება, ხოლო თუ იცრუებთ – წითელი, გასაგებია?

– ჰო, გასაგებია, სენი წილიმე, – უპასუხა ოსმა და წითელი ნათურა აინთო.

•••

მაღაზიაში დაკეტვამდე რამდენიმე წუთით ადრე აქოშინებული ქალი შევარდა და გამყიდველს ეუბნება:

– მადლობა ღმერთს, მოგისწარით! ქათმები გაქვთ?

გამყიდველმა მაცივრიდან ერთადერთი დარჩენილი ქათამი გამოიღო და სასწორზე დადო. სასწორმა ერთი კილოგრამი აჩვენა.

– უფრო დიდი არ გაქვთ? – ეკითხება ქალი.

გამყიდველმა ქათამი ისევ მაცივარში შედო, მერე ისევ გამოიღო, სასწორზე დადო, ჩუმად თითი მიაშველა და კილოგრამნახევარი გამოიყვანა.

– შესანიშნავია, ორივე შემიხვიეთ.

•••

ოჯახს ბულდოგი ჰყავს, რომელიც ძილში საშინლად ხვრინავს. ერთხელაც შეწუხებული მეზობელი დიასახლისს ეუბნება:

– როგორ იტანთ ასეთ ხვრინვას?

– აბა რა ვქნათ, ქმარს ძალიან უყვარს.

– რაიმე ბაფთა აიღე, ინტიმურ ადგილას შეაბი და მაშინვე შეწყვეტს ხვრინვას.

ქალმა დაუჯერა, წითელი ბაფთა იპოვა და ძაღლს გაუკეთა. ბულდოგმა მაშინვე შეწყვიტა ხვრინვა.

ღამით ქმარი სახლში მაგარი მთვრალი დაბრუნდა. დაწვა თუ არა, მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ცოლმა აიღო და მასაც გაუკეთა წითელი ბაფთა ინტიმურ ადგილზე. ქმარმა მაშინვე შეწყვიტა ხვრინვა.

დილით კაცს საშინელ „პახმელიაზე“ გაეღვიძა. ადგა, ტუალეტში შევიდა და ხედავს, წითელი ბაფთა უკეთია. შეხედა და მის ბულდოგსაც უკეთია. დაჯდა და დიდი ფიქრის შემდეგ ბულდოგს ეუბნება:

– რა თქმა უნდა, ზუსტად არ მახსოვს, გუშინ მე და შენ სად ვიყავით, მაგრამ, როგორც ჩანს, პირველი ადგილი მაინც აგვიღია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



# 12 ოქტომბრიდან




# კახეთი

## გზამკვლევი

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

# 13 ოქტომბრიდან

## ჩემი პირველი სიტყვები

# ცხოველები

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**



# 21 ოქტომბრიდან




## მაიკლ პუნკე

# გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

# 18 ოქტომბრიდან

## ოლივერ ტვისტი

### ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## კაილი ჯენერი ამერიკული გამოცემისთვის გაშიშვლდა

კაილი ჯენერმა, ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანის დამ, მონაწილეობა მიიღო ეროტიკულ ფოტოსესიაში, რომელიც ამერიკული გასართობი პორტალის ქომპლექსისთვის გაიმართა. ფოტოსესიაზე გადაღებული ფოტოსურათები გოგონამ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

19 წლის კაილიმ ფოტოსესიისთვის მხოლოდ ხელთათმანები და კანის შეფერილობის საცვლები მოირგო. ერთ-ერთმა კადრმა, რომელიც ჯენერმა საკუთარ გვერდზე განათავსა 1,2 მილიონზე მეტი მოწონება მიიღო. საერთოდ კი გოგონას გვერდს სოციალურ ქსელში 76,4 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

კაილი ჯენერი მეწარმე და ფოტომოდელია. მიმდინარე წლის თებერვალში მან თანამშრომლობა დაიწყო კომპანია პუმასთან და ამ ბრენდის ელჩი გახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**






## ღრმად ჩახსნილმა კაბამ ნიკოლ კიდმანი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა

მსახიობი ნიკოლ კიდმანი ლონდონის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზე ღრმად ჩახსნილი კაბით გამოჩნდა. ხავერდის კაბა ქარმა ააფრიალა და ვარსკვლავის ფეხები სრულად გააშიშვლა.

კინოვარსკვლავი ღონისძიებაზე კოლეგა დევი პატელთან ერთად წარდგა, რომელიც ცნობილია ფილმიდან „მილიონერი ღატაკთა უბნიდან“. მათ კინოფესტივალზე საკუთარი ნამუშევარი – რეჟისორ ჰერტა დევისის დრამა „ლომი“ წარადგინეს.

მიუხედავად მსახიობის მცდელობისა, კაბისთვის აფრიალების საშუალება არ მიეცა, ჟურნალისტებმა მაინც მოახერხეს 49 წლის მსახიობის შიშველი ფეხების დაფიქსირება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ნავთობის გადასაზიდი გემი; 5. მოჩვენებითი ზარ-ზეიმი; 7. ციებ-ცხელება; 9. გეორგ ... (გერმანელი მათემატიკოსი); 10. მდინარის ხალებიანი თევზი; 13. რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა შუა საუკუნეებში; 14. პარლამენტის ზედა პალატა ბელგიაში; 15. ერთეული ვექტორი; 19. სტადიონის გარკვეული ნაწილი; 20. კოლონებზე დაყრდნობილი განივი ძელი; 21. ადამიანთა იზოლირება ეპიდემიის დროს; 22. ცრუ ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

**შვეულად:** 1. იონა ... (კომპოზიტორი); 2. საპირისპიროს აღმნიშვნელი წინსართი; 3. ერთგვარი გოგრა; 4. ტაილანდის ფულის ერთეული; 6. მოდავე მხარეთა თანასწორობის პრინციპი; 8. გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა; 11. ამერიკულ-კანადური ჯგუფური სამეჯლისო ცეკვა; 12. იტყვიან ქვეყნის მიმოსვლის გზებზე; 16. მდინარე რუსეთში; 17. ცხელი, ტკბილი წყლით შეზავებული კონიაკი, რომი ან არაყი; 18. მასის ერთეული (ფიზ.).

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

